საბა

№1(205)
იანვარი
2013

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

ბედნიერ შობას გისურვებთ!..

„...ჩვენთვის, კაცთათვის და ჩვენი
ცხოვრებისათვის, გარდამოხდა ზეცით...“

შობა: რატომ განკაცდა ღმერთი?

ამ კითხვას სვამდა ეკლესიის მრავალი მამა, ირენეოსის, ათანასეს, გრიგოლ ნაზიანზელის, მაქსიმე აღმსარებლის დროიდან დაწყებული, შუა საუკუნეების დიდი საეკლესიო სკოლების მოღვაწეების ჩათვლით, როგორებიც იყვნენ წმიდა ანსელმ კენტერბერიელი, დუნს სკოტი და წმიდა თომა აკვინელი. ზოგიერთი მათგანის აზრით, ღმერთი ჩვენს სახსნელად განკაცდა, ზოგი კი, – მაგალითად, დუნს სკოტი, – ხაზს უსვამს ადამიანისთვის ბოძებულ ღვთის დიდებას.

თუმცა, გვერდზე გადავდოთ თეოლოგიური დისპუტები და განცვიფრებითა და თაყვანისცემით აღსავსე გულით მივეახლოთ საიდუმლოებას.

„მრწამსში“ არის ფრაზა, რომელსაც შობას მუხლმოდრეკილნი წარმოვთქვამთ: „რომელი ჩვენთვის, კაცთათვის და ჩვენი ცხოვრებისათვის, გარდამოხდა ზეცით...“ როგორც წესი, ყურადღებას ვამახვილებთ ფრაზის მეორე ნაწილზე, სიტყვებზე: „და ჩვენი ცხოვრებისათვის, ხსნისთვის“, მაგრამ რა იგულისხმება, როცა ვაცხადებთ: „ჩვენთვის, კაცთათვის, ადამიანთათვის“?

ძვირფასებო, იესო ჩვენთვის, ადამიანებისთვის, ჩამოვიდა ზეციდან, ანუ იმისთვის მოგვევლინა, რომ შეავსოს და სრულყოს ჩვენი ადამიანურობა. მაშასადამე, შობა აგრეთვე ჩვენი ადამიანური ღირსების ზეიმიცაა.

თავის საშობაო ქადაგებაში, წმიდა ლეონ დიდი გვიმეორებს ამ ყოველივეს: „ადამიანო, გაიხსენე შენი ღირსება და გაიხსენე, რომ ღვთაებრივი ბუნების თანამოზიარედ იქეცი... გაიხსენე, რომელი სხეულის წევრი ხარ და ვინ არის შენი მეთაური. გაიხსენე, რომ სიბნელის ძალაუფლებისგან იქენ დახსნილი და ღვთის სასუფეველსა და სინათლეში შეყვანილი“.

რაში მდგომარეობს ადამიანის ღირსება?

პასუხი მარტივია, მას უფლის სიტყვაში ვპოულობთ: ადამიანი ღვთის ხატი და მსგავსებაა!

აი, შობის საიდუმლოების სისრულე. ის, ვინც თავისი ბუნებით მამა ღმერთის ხატებაა, მოდის ადამიანში ამ ხატების აღსადგენად, რათა ადამიანი კვლავ საკუთარ თავს დაუბრუნდეს! ამგვარად, ღმერთის ადამიანად ქცევის შედეგია არა მხოლოდ ადამიანის გაღმერთება, არამედ აგრეთვე მის მიერ ადამიანობის ხელახლა მოპოვება!

უფლის შობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც იმ საიდუმლოების აღნიშვნა, რომლითაც ადამიანი საკუთარ თავს უბრუნდება: ღვთის ხატად და მსგავსებად იქცევა!

მართლაც, ცოდვა არის უარყოფითი მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სამყაროს შექმნის შემდეგ და რომელიც არ შედიოდა ღვთის ჩანაფიქრში, ვინც ყოველივე შექმნა სიცოცხლისთვის და არაფერი – სიკვდილისთვის (შდრ. სიბრძ 2,23-24). შობას, როცა სამყაროს ჩვილი იესო მოევლინება, მამა ღმერთს ჰყავს ის, ვისი უსასრულოდ შეყვარებაც შეუძლია, რადგანაც იესო ერთდროულად ადამიანიც არის და ღმერთიც. თუმცა, არა მხოლოდ იესო, არამედ ჩვენც მასთან ერთად! ჩვენც ვართ მოცულნი ამ სიყვარულის მიერ, რადგანაც ქრისტეს სხეულის ნაწილებად ვიქეცით, „ძეებად ძეში“. ამას გვახსენებს იოანეს სახარების პროლოგი: „ხოლო ვინც მიიღო იგი და ირწმუნა მისი სახელი, მისცა მათ ხელმწიფება ღვთის შვილებად გახდომისა“ (იო 1,12).

იმისთვის, რომ თავისი უმშვენიერესი ქმნილებით კმაყოფილი იყოს, მამა ღმერთი ყოველივეს სიყვარულით აღადგენს. ჩვენს შორის ღვთის ძის მოვლინება, ღვთის ჩანაფიქრით, განსაზღვრული იყო, როგორც ადამიანის ღირსების მაქსიმალური ამაღლების მომენტი, და ეს რჩება უმთავრეს მიზნად. მხოლოდ ადამიანის მიერ ცოდვის ჩადენის შემდეგ ისურვა ის ღმერთმა, აგრეთვე ჩვენი ცოდვის გამოსასყიდად. დიახ, სახარება სასიხარულო ამბავია: ამბავი, რომ ხსნილნი ვართ, მაგრამ, აგრეთვე და უმთავრესად, ამბავი, რომ კვლავ ვართ ქცეულნი ღვთის სიხარულის მიზეზად, რომელიც ჩვენმა ძმამ, იესომ დაგვიბრუნა.

ამ თვალსაზრისით, განვიხილოთ ქებათა ქებაში (2,8 და შმდ.) აღწერილი სცენა. სასძლოს ესმის საყვარლის ნაბიჯების ხმა, რომელიც მორბის მთებზე, მოხტის ბორცვებზე: „მომიგებს საყვარელი ჩემი და მეტყვის: „ადექი, სატრფოვ ჩემო, მშვენიერო ჩემო და წამოდი!“ რადგან, აჰა, მიიწურა ზამთარი, ჟამი ღვარებისა გარდახდა, თავისთვის წავიდა. ყვავილები დაჩდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია....“ სასძლო არის მთელი კაცობრიობა, თითოეული ჩვენგანი. საყვარელი კი მომავალი ღმერთია: ის ჩვენსკენ, ადამიანისკენ მოდის. ის მორბის მთებზე და ადამიანისადმი სიყვარულის სიმღერას მღერის: „ადექი, სატრფოვ ჩემო.... ჟამი გალობისა მოიწია“. შობის ეს ხედვა მშვენიერი და ამაღელვებელია!

მაშ, სად უნდა ვეძებოთ ჩვენი ღირსების ნამდვილი წყარო? ამას ბენედიქტე XVI გვახსენებს. თავის ერთ-ერთ საკვირაო გამოსვლაში, პაპმა ახლახანს განაცხადა: „ადამიანის ღირსების წყარო სხვა არსაიდან მოედინება, თუ არა ღმერთისგან“.

აქედან გამომდინარე, შედეგები მხოლოდ სულიერი ხასიათის არ არის (ღმერთის დიდება, მისთვის მადლობის შეწირვა, მისი თაყვანისცემა), ისინი აგრეთვე კონკრეტულია და... რთული. სადაც ადამიანია, მათ შორის, ყველაზე ყალთაბანდი და ცოდვილი, იქ არის ღვთის სიყვარული, და ყოველი ადამიანის ღირსება წმიდაა...

მინდა გაგიზიაროთ ახალგაზრდულ კატეხიზმოში ამოკითხული მშვენიერი ფრაგმენტი: „ ადამიანის ღირსება რომ ცალკეული ადამიანების წარმატებებსა და მიღწევებზე იყოს დამოკიდებული, სუსტებს, სნეულებსა და უმწეოებს არავითარი ღირსება არ ექნებოდათ. ქრისტიანებს კი სწამთ, რომ ადამიანის ღირსება უმთავრესად ღვთის ღირსებიდან მომდინარეობს. ღმერთი თითოეულ ადამიანს დასცქერის და უყვარს ის ისე, თითქოს ის სამყაროს ერთადერთი ქმნილება იყოს. რადგანაც ღმერთი ქმნილებათაგან უმცირესსაც უმზერს, ყოველ ქმნილებას უსასრულო

ღირსება გააჩნია, რომელსაც ადამიანები ვერ გაანადგურებენ“ (Youcat. ნ. 280).

ცოცხალი ადამიანი ღვთის დიდებაა! ამ დღეებში ყველას შეგვიძლია დავფიქრდეთ იმაზე, თუ რას ნიშნავს ყოველივე ეს ჩვენი ცხოვრებისათვის.

შობის პერიოდში სხვანაირი, დადებითი და რწმენიდან მომდინარე სიყვარულით აღსავსე მზერით ვუმზერთ ყველას, ვინც გვხვდება, განსაკუთრებით, როდესაც წარმოვთქვამთ: „გილოცავთ შობას...“. ყოველი ადამიანი, რომელსაც ვხედავ, ჩემი ძმაა!

ყველას ბედნიერ შობას გისურვებთ. ქვეყნად მოვლენილი ჩვილის მზერაში ყველა ჩვენგანის მზერას ვხედავთ.

ამიერკავკასიაში ლათინური წესის კათოლიკეთა
სამოციქულო ადმინისტრატორი
ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო

მშვიდობის საერთაშორისო დღე

ყოველი წლის 1 იანვარს მშვიდობის საერთაშორისო დღე აღინიშნება. 14 დეკემბერს წმიდა საყდრის პრეს-სამსახურმა უწმიდესი პაპის ამ დღისადმი მიძღვნილი მიმართვა გამოაქვეყნა. გთავაზობთ ამონარიდს ამ ტექსტიდან.

„ყოველ ახალ წელს მოაქვს იმედი, რომ მსოფლიო უკეთესობისკენ შეიცვლება. ვევედრები უფალს, მოგვანიჭოს თანხმობა და მშვიდობა, რათა ყველასათვის ასრულდეს ბედნიერი სიცოცხლისა და კეთილდღეობის იმედი. დღეს მსოფლიოში დაძაბულობისა და კონფლიქტის მრავალი კერაა. ამას ბევრი მიზეზი აქვს: მზარდი უთანასწორობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის, ეგოისტური და ინდივიდუალისტური მენტალიტეტი, ფუნდამენტალიზმი და ფანატიზმი, რომელიც რელიგიის ჭეშმარიტ ბუნებას ამახინჯებს. მაგრამ მრავალი სამშვიდობო ინიციატივა მეტყველებს იმაზე, რომ ადამიანს მშვიდობისადმი თანდაყოლილი ლტოლვა აქვს. ღმერთმა ხომ ადამიანი ბედნიერებისთვის და მშვიდობისთვის შექმნა. ამიტომ „ნეტარ არიან მშვიდობისმყოფელნი, ვინაიდან ღვთის შვილებად იწოდებიან“ (მათ. 5,9).

საშობაო ნაძვის ხე

ტრადიციულად, შობის დღესასწაულის ამ უმთავრეს ატრიბუტს – საშობაო ნაძვის ხეს – წმიდა საყდარს რომელიმე ქვეყანა, ან იტალიის რომელიმე რეგიონი ჩუქნის. ამჯერად 28 მეტრიანი საშობაო ნაძვის ხე, რომელიც წმიდა პეტრეს მოედანს ამშვენებს, ლიგურიიდან, ბოსკო სოპრანოდან ჩამოიტანეს, ხოლო მორთვის ხარჯები ბაზილიკატას მუნიციპალიტეტმა გაიღო.

ორი ნაძვი და ორი ბაგა წმიდა საყდარს მექსიკის კათოლიკეებმაც აჩუქეს. ხეები მორთულია ხელნაკეთი სათამაშოებით, რომლებიც მექსიკის კულტურულ ტრადიციებს ასახავს. ტრადიციული ელემენტები გამოყენებულია ბაგების მოკაზმულობაშიც. მექსიკელთა საშობაო საჩუქარი სადღესასწაულო დღეებში პავლე VI-ის დარბაზს დაამშვენებს.

საშობაო ნაძვის ხე ბრიუსელში

ბელგიის დედაქალაქის მუნიციპალურმა ხელისუფლებამ თავის მოქალაქეებს საშობაოდ ფრიად არასასიამოვნო სიურპრიზი მოუმზადა: ტრადიციული ნაძვის მაგივრად, ქალაქის მთავარ მოედანზე ლითონისა და აფრისისგან დამზადებული კონსტრუქცია აღიმართა. მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა განცხადებით, მთავარ მოედანზე აღმართულმა ქრისტიანული დღესასწაულის სიმბოლომ შეიძლება სხვა რელიგიების წარმომადგენელთა გრძნობები შეურაცხყოს. არაპოლიკორექტული სახელწოდება „საშობაო ბაზრობა“ „ზამთრის ბაზრობამ“ ჩაანაცვლა. ყველაფერმა ამან ბრიუსელის მკვიდრთა პროტესტი გამოიწვია. ქრისტიანული სადღესასწაულო ტრადიციების დასაცავად საპროტესტო მსვლელობები გაიმართა. შედეგად, მუნიციპალიტეტმა კონსტრუქციის დემონტაჟის გადაწყვეტილება მიიღო. ხელისუფალთა შემდგომი განცხადებით, მათი ეს გადაწყვეტილება არა რელიგიური მოტივებით, არამედ საუკუნოვანი ტრადიციის გათანამედროვეობის სურვილით იყო ნაკარნახევი.

ნაძვისთვის ბრძოლა დანიის პატარა ქალაქის, კოკედალის მცხოვრებლებსაც დასჭირდათ. ქალაქის მმართველობამ, რომლის ცხრა წევრიდან ხუთი მუსლიმია, ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა, რომ 1000 ევრო საშობაო ნაძვისთვის გაუმართლებელი ხარჯია. ტრადიციული ნაძვის ხე კოკედალში მაინც დაიდგა, ოღონდ აღნიშნული თანხა არა მუნიციპალიტეტმა, არამედ კერძო პირმა გაიღო.

კატეხიზმო ბერძნული წესის კათოლიკეთათვის

25 ნოემბერს, ზაგრებში, აღმოსავლური წესის კათოლიკე იერარქების ყოველწლიური შეხვედრის დასკვნით სესიაზე მთავარეპისკოპოსმა სვიატოსლავ შევჩუკმა უკრაინის ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის კატეხიზმო წარადგინა. მუშაობა მორწმუნეთა ამ სახელმძღვანელოზე ათი წელი მიმდინარეობდა და მისი უმთავრესი წყარო კათოლიკე ეკლესიის კატეხიზმოა. დოკუმენტი სამი განყოფილებისგან შედგება: ეკლესიის რწმენა, ეკლესიის ლოცვა და ეკლესიის ცხოვრება. მესამე ნაწილში განხილულია ქრისტიანული ზნეობის საკითხები, ცოდვის, სიქველის, ქრისტიანული ოჯახის ცნებები და სხვ.

შვეიცარული გვარდიის საშობაო ალბომი

შვეიცარული გვარდიის ორკესტრმა, ცნობილ არფისტ დანიელა ლორენცთან ერთად, საშობაო ალბომი ჩაწერა. Weihnachten mit der Schweizergarde (შობა შვეიცარულ გვარდიასთან ერთად) ძირითადად გერმანული საშობაო მელოდიებისგან შედგება.

გვარდიის ორკესტრი ძალზე იშვიათად მართავს კონცერტებს. ჩვეულებრივ, ეს აღდგომისა და შობის დღესასწაულებზე, წმიდა პეტრეს მოედანზე ხდება.

ცირკის მსახიობები ვატიკანში

1 დეკემბერს ვატიკანში ცირკის მსახიობთა აღლუმი მოეწყო, რომელშიც მსოფლიოს 14 ქვეყნის 7 ათასამდე მსახიობმა მიიღო მონაწილეობა. კლოუნებმა, ჟონგლიორებმა, ეკვილიბრისტებმა და ცხოველთა მომთვინიერებლებმა წმიდა პეტრეს მოედანზე სახელდახელო წარმოდგენა გამართეს. პონტიფექსის მისალმების შემდეგ, საცირკო ზეიმმა პავლე VI-ის დარბაზში გადაინაცვლა, სადაც მსახიობებმა თავიანთი საუკეთესო ნომრები წარადგინეს.

საახალწლო შეხვედრა რომში

ტეზეს საკრებულოს ინიციატივით, 28 დეკემბრიდან 2 იანვრამდე რომში ევროპელი ახალგაზრდების შეხვედრა გაიმართება. „ახალგაზრდები რომაელთა ოჯახებში იცხოვრებენ, ადგილობრივ ტაძრებში ილოცებენ და პირველ ქრისტიანთა დევნის ადგილებს ეწვევიან“, – განაცხადა შეხვედრის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა. ბენედიქტე XVI ახალგაზრდებს 29 დეკემბერს, წმიდა პეტრეს ტაძარში შეხვდება.

უნარშეზღუდულთა საერთაშორისო დღე

3 დეკემბერს უნარშეზღუდულ პირთა საერთაშორისო დღე აღინიშნა. „უნარშეზღუდული ადამიანები განსაკუთრებით ძვირფასნი არიან ჩვენთვის. მე მოვუწოდებ ყველა საკრებულოს, რაც შეიძლება მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ ეკლესიის წიაღში მყოფი უნარშეზღუდული პირების მიმართ და ასევე იღვაწონ მათთვის, ვინც ეკლესიის მიღმაა. ვევედრები კანონმდებლებსა და პოლიტიკოსებს, ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ ეს ადამიანები საზოგადოების აქტიურ წევრებად იქცნენ“, – აღნიშნა უწმიდესმა პაპმა 3 დეკემბრის ქადაგებაში.

აზიის ეპისკოპოსთა ასამბლეა

10 დეკემბერს აზიის ეპისკოპოსთა ფედერაციის X ასამბლეა გაიმართა. ამჯერად მღვდელმთავართა თავშეყრის ადგილი კათოლიკეებისთვის ძალიან რთული ქვეყანა, ვიეტნამი გახდა. ასამბლეაში ასმა ეპისკოპოსმა მიიღო მონაწილეობა.

„ევროპელთაგან განსხვავებით, აზიის მკვიდრნი არასეკულარულ ქვეყნებში ცხოვრობენ. რელიგია მათი ცხოვრების ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილია. აქ პოლიტიკური მიზნებით რელიგიის ბოროტად გამოყენებას უფრო ვებრძვით, ვიდრე ურწმუნოებას. აზიელების გულები სავსეა რწმენით, მხოლოდ ისაა საჭირო, მიიღონ ქრისტე, როგორც გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე. იმისთვის, რომ მათ ამაში დავეხმაროთ, თავად უნდა ვიყოთ ღრმა რწმენის მატარებელნი, სიღრმისეული უნდა იყოს ჩვენი ურთიერთობა ღმერთთან და მოყვასთან“, – აღნიშნა აზიის ეპისკოპოსთა ფედერაციის ახალი ევანგელიზაციის საბჭოს მდივანმა მთავარეპისკოპოსმა თომას მანამპარამპილმა.

@pontifex

„ძვირფასო მეგობრებო! მოხარული ვარ, რომ ტვიტერით შემიძლია თქვენთან დაკავშირება. გმადლობთ მრავალრიცხოვანი გამოხმაურებებისთვის. გლოცავთ მთელი გულით“, – ბენედიქტე VI-ის „ტვიტი“ ქსელში 12 დეკემბერს გამოჩნდა. უწმიდესი პაპის ამ მოკლე გზავნილს ტვიტერის ათიათასობით მომხმარებელი გამოეხმაურა. ასეთივე აქტივობა მოყვა პონტიფექსის შემდგომ გზავნილებსაც, რომლებშიც იგი მორწმუნეთა კითხვებს პასუხობდა. რამდენიმე დღეში პაპს უკვე მილიონზე მეტი მკითხველი ჰყავდა.

„აქ კიდევ ერთხელ გამოვლინდა უწმიდესი პაპის სურვილი, მივიდეს მორწმუნეებთან და ესაუბროს მათ იქ, სადაც მათთვისაა მოსახერხებელი“, – აღნიშნა საზოგადოებრივი კომუნიკაციების პონტიფიკალური საბჭოს თავმჯდომარემ კლაუდიო მარია ჩელიმ.

მოამზადა **რუსუდან ავალიშვილმა**



სურათი გადაღებულია დაახლოებით 100 წლის წინ

კათოლიკური ტაძარი სოფელ უდეში

ნოემბრის თვეში, სოფელ უდეში მართლმადიდებელმა წინამძღვარმა დაიწყო სამშენებლო სამუშაოები კათოლიკურ ტაძარში. ჯერ იყო და ღობე, რომელშიც მრავლად იყო ჩაყოლებული ძველი კათოლიკური ეკლესიის ქვები, მოშალა და ახალი გალავნის კეთებას შეუდგა, რასაც ეკლესიის ეზოში სამრეკლოს შენება მოჰყვა (თოთქოს თავად ეკლესიას არა ჰქონოდა ორი სამრეკლო!). შეშფოთებულმა მრევლმა, რომელსაც არ გაჰკვირვებია ის, რომ მართლმადიდებელი მღვდელი ისე მოქმედებდა, თითქოს საკუთარ სახლში ყოფილიყო, ხმა აღიმაღლა, როდესაც ჯერი ეკლესიის გუმბათზე მიდგა და ნათელი გახდა, რომ მომრგვალებული გუმბათის ნაცვლად, აპირებდნენ სამკუთხა ფორმის გუმბათის დადგმას. აშკარა გახდა, რომ ამ მშენებლობის მიზანი ეკლესიიდან კათოლიკობის ნიშნების წაშლა იყო. ამიტომაც მოსახლეობამ წერილით მიმართა ამიერკავკასიის ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორს, მეუფე ჯუზეპე პაზოტოს, რათა თავისი სამწყსოს დასაცავად დამდგარიყო. ეპისკოპოსმაც დაუყოვნებლივ მიმართა წერილით კულტურის სამინისტროს და სახალხო დამცველს.

30 ნოემბერს, მეუფე ჯუზეპე საპატრიარქოში შეხვდა მეუფე გერასიმეს და მამა გრიგოლს, უდის მართლმადიდებელ წინამძღვარს. ამ შეხვედრაზეც გახმიანდა ის განზრახვა, რომ ტაძრის ამჟამინდელი მფლობელები აპირებენ მისი გუმბათის ფორმის შეცვლას, რაზეც მ. ჯუზეპემ სასტიკი პროტესტი განაცხადა, არა მხოლოდ ისტორიული სიმართლის მიჩუმათების მცდელობის, არამედ იმ ცოცხალი მორწმუნეების სრული იგნორირების გამო, რომელთა რელიგიური გრძნობა ილახება ამგვარად. მართლმადიდებელმა მხარემ ერთადერთ არგუმენტად მოიშველია, თითქოს გუმბათს ოვალური ფორმა მხოლოდ 1982 წელს მიეღო, როდესაც ის თუნუქით გადაუხურავთ, არადა აშკარაა ამ არგუმენტის უსაფუძვლობა, რაკიღა გაცილებით ძველი ფოტოც არსებობს, სადაც ნათლად ჩანს, რომ ეკლესია ამ ფორმით იყო აშენებული ასი წლის წინათ. გარდა ამისა, არ არსებობდა არანაირი ნებართვა ამ სამუშაოების ჩატარებაზე. რაც შეეხება გადახურვის აუცილებლობას, ამაზე მეუფე ჯუზეპემ განაცხადა, რომ მზად იყო თავად, თავისი ხარჯებით გადაეხურა გუმბათი, რაც მამა გრიგოლმა შორს დაიჭირა. შეხვედრაზე მიაღწიეს შეთანხმებას სამუშაოების შეჩერების შესახებ, თუმცა, როგორც შემდგომში აღმოჩნდა, სამუშაოები გაგრძელდა.

5 დეკემბერს მეუფე ჯუზეპე შეხვდა კულტურის მინისტრსა და ვიცე მინისტრს, რომლებიც გაცილებით მეტი გაგებით მოეკიდნენ ამ საქმეს, და ისიც ნათელი იყო, რომ ამგვარი ქმედებით აღშფოთებას ახსნა-განმარტება არა სჭირდებოდა. მინისტრი დაპირდა მეუფეს, რომ ყველა ღონეს იხმარდა, რათა ტაძრის გუმბათის დამახინჯება არ დაეშვა.

13 დეკემბერს სამინისტროში მორიგ შეხვედრაზე მინისტრმა გამოთქვა უდის ეკლესიის მონახულების სურვილი, რითაც ნათელი სურათი შეექმნება ამ საკითხზე. ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენებული ნაგებობები, მეუფის განცხადებით, ამ ეკლესიების სამომავლოდ არ დაბრუნების პირობას ქმნის,

რაც ძალზე სამწუხარო მომენტია. კანონის ძალით, ამ უნებართვო შენობების დანგრევა ნამდვილად სანუგეშო ნიშანი იქნებოდა.

ამასობაში უდეში შეგროვდა ხელმოწერები მოთხოვნით, სურდათ თუ არა ეკლესიის სახურავის შეკეთება. ზამთრის პირზე გადახდილი სახურავი, რა თქმა უნდა, დახურვას საჭიროებს, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ეკლესიის იერის შეცვლის ხარჯზე. ამგვარია კათოლიკური მხარის მოთხოვნა, რის კანონიერებაშიც ეჭვი არ გვეპარება და არც ჩვენს სახელმწიფოში კანონებისა და უფლებების დაცვაში გვინდა ეჭვის შეტანა.

მ. აკაკი ჭელიძე

სამშენებლო სამუშაოები უდის ეკლესიაში

თეთრი ვარდები ღვთისმშობლისათვის...

რა სწრაფად გავიდა ერთი წელი, ისევ დადგა 8 დეკემბერი – მარიამის უმანკოდ ჩასახვის დღე – ჩვენი საკრებულოსთვის მნიშვნელოვანი თარიღი. ამჯერად დღე საზეიმო წირვით დაიწყო. არც ადგილობრივი სტუმრები გვაკლდა, ჩამოსულთაგან კი თვით ელჩმა, მარეკ სოლჩინსკიმ გაგვახარა თავისი ვიზიტით. წირვის შემდეგ, ჩვენს საყვარელ, ძირძველ დედა-ეკლესიაში უნდა აღგვევლინა ლოცვა, და დავადექით კიდეც გზას. წინ პატარები გაგვიძღვნენ, თეთრი ვარდებით ხელში; ყველას სურდა, ღვთისმშობლისთვის პირადად მიელოცა ეს დღე, მასავით სპეტაკი, თეთრი ვარდებით. როგორც დიდი ხნის უნახავი, უძღები შვილები, ისე მიგვიღო ჩვენმა ეკლესიამ, მიგვიღო სითბოთი და სიყვარულით და ჩვენი ლოცვა, ტაძარში აღვლენილი, საოცრად ძლიერად გახმიანდა მის თაღებს შორის; ციმციმებდნენ სანთლები და მის შუქზე რიგრიგობით გაიელვებდა მლოცველთა, მარიამისადმი მავედრებელთა და მადლიერთა სახეები. ყველას ყურადღება, ვინც ამ დროს ეკლესიაში იმყოფებოდა, ჩვენსკენ იყო მოპყრობილი, რადგან ტკბილხმოვანი გალობა და საოცარი მოწიწება,

▶ 8 ᲒᲒ.

◄ 7 გვ.

შერწყმული უდიდეს მონატრებასთან, მართლაც საოცარ გრძნობას ბადებდა. ეს გრძნობა კი არავის აძლევდა ბარიერის გადალახვისა და ისტორიული კანონზომიერების დარღვევის უფლებას, უფრო მეტიც, ეს გრძნობა მათში ალბათ როდისმე, მათდაუნებურად, სამართლიანობაზე ფიქრსაც აღძრავს და თემიდას სასწორს შეცვლის.

ერთი ძალიან ლამაზი სურათი მაქვს ნანახი: ეკლესიის ფონზე კათოლიკე მრევლია აღბეჭდილი, ძალიან ბუნებრივი, ამავდროულად, ემოციურად დატვირთული ფოტოა; ყოველთვის მქონდა სურვილი, ასეთი რამ მეც განმეცადა და მერე ჩვენი სახეებიც ამოეცნო შთამომავლობას. და ამ დღეს ჩვენც გადავიღეთ ასეთი ფოტო; შეიძლება, კადრში ყველა ჩვენგანი ვერ მოხვდა, მაგრამ მაინც ჩვენ ვართ, ნაწილი იმ მრევლისა, ქუთაისის კათოლიკური საკრებულო რომ ჰქვია.

მერე კი, სულიერად აღვსილებმა, ისევ ის გზა გამოვიარეთ, რასაც უკვე წლებია გავდივართ; გიახლოვდებით და ისევ გშორდებით, ალბათ, ისევ ძლიერ რომ მოგვენატრო და ხელახლა ვიგრძნოთ შენთან შეხვედრის სიხარული...

დღე ისევ სასიამოვნოდ გაგრძელდა. ეკლესიაში დაბრუნებულთ, მამა კარლომ გვირჩია, ლოტოს ბილეთები შეგვეძინა და ლამაზად შეფუთულ საჩუქრებს დავუფლებოდით. ციფრები ჯერ ქართულად, მერე კი იტალიურად ცხადდებოდა, რაც კიდევ უფრო ძაბავდა მოლოდინს. პირველი პრიზები განაწილდა, კულმინაციამ პიკს მიაღწია და ბოლოს უმაღლესი ჯილდო – მობილური ტელეფონიც გათამაშდა. მერე კი ზოგი საჩუქრით, ზოგიც კი უსაჩუქროდ გაემართა საზეიმოდ გაშლილი სუფრისკენ და იქ გაგრძელდა მხიარულება.

დასრულდა ლამაზი დღე, რომელსაც კიდევ დაველოდებით.

ნინო ჟღენტი
ქუთაისის საკრებულო

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

ხიზაბავრის ეკლესიის დღესასწაული

კათოლიკური ეკლესიის ლიტურგიული კალენდრის მიხედვით, 30 ნოემბერს აღინიშნება წმ. ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე. ეს დღესასწაული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გორის რაიონის სოფელ ახალხიზის კათოლიკე მრევლისთვის, რადგან სოფლის სამლოცველო ანდრია პირველწოდებულის სახელობისაა.

სადღესასწაულო წმიდა წირვას უძღვებოდა ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, ახალხიზის სამრევლოს წინამძღვარ მამა აკაკი ჭელიძესთან და მამა ზიგმუნდ ნეჯვეჯთან ერთად. ასევე, ჩვენთან ერთად იმყოფებოდნენ კამილიელი დები. რამდენიმე წელია, რაც გორისა და ახალხიზის სამრევლოებში მოღვაწეობენ კამილიელთა ორდენის წევრები და ისინი ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენის დროს ჩვენთან ერთად იმყოფებიან და ჩვენს სიხარულს იზიარებენ.

ეპისკოპოსის ქადაგება, როგორც ყოველთვის, ყურადსაღები იყო: თავდაპირველად მან გაიხსენა საეკლესიო გადმოცემა საქართველოში ანდრია პირველწოდებულის მოგზაურობასთან დაკავშირებით, ხოლო შემდეგ ისაუბრა დათესილ მარცვალზე, რომელიც პატარაა, მაგრამ მისი ნაყოფი ყოველთვის დიდია, თუ ის ნოყიერ ნიადაგში მოხვდება. ამიტომ, მიუხედავად ჩვენი მრევლის სიმცირისა სოფელში, ჩვენ აუცილებლად გავიზრდებით, როგორც კათოლიკეები, ვიქნებით ნამდვილი ქრისტიანები და ყველასთვის მისაბაძი მაგალითი.

წლებია, რაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურები მთელ საქართველოში კათოლიკეების წინააღმდეგ ეწევიან დაუფარავ პროზელიტიზმს და, ამ მხრივ, გამონაკლისი არც ახალხიზაა. სწორედ ამითაა გამოწვეული ამჟამად კათოლიკე მრევლის სიმცირე, ეს მაშინ, როდესაც კომუნისტური ხელისუფლების პირობებში სოფლის მოსახლეობა თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა კათოლიკურ ეკლესიაში ნათლავდა შვილებს.

ცოტა რამ სოფლის შესახებ: ჩემი სოფელი მე–20 საუკუნის დასაწყისში დაარსდა დომინიკე პაწაძის ინიციატივით, ხიზაბავრიდან წამოსული მოსახლეობით და ეწოდა სოფელი ბეთლემი. შემდეგ, საბჭოთა კავშირის დროს, სახელი შეეცვალა და ეწოდა ახალხიზა, რადგან სახელწოდება „ბეთლემს“ რელიგიური დატვირთვა ჰქონდა. მამა დომინიკე პაწაძე ახალხიზაში მოკლეს 1911 წელს და დაკრძალულ იქნა გორის წმ. ოჯახის კათოლიკური ეკლესიის ეზოში, თუმცა დღეს ამ დიდი მამულიშვილისა და საზოგადო მოღვაწის საფლავი მიზანმიმართულად შეურაცხყოფილი და განადგურებულია. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ამჟამად ეკლესია კანონიერ მფლობელს არ ეკუთვნის, იგი 1990–იან წლებში მიიტაცა საქართველოს საპატრიარქომ. მისი დროებითი მფლობელების მიერ ეკლესიიდან ყოველგვარი კათოლიკური ტრადიციის კვალის წაშლის მიზნით ჩატარებულმა „სამუშაოებმა“ მამა დომინიკეს საფლავიც შეიწირა. ჩვენ არაერთხელ მოვითხოვეთ გორისა და სამთავისის ეპარქიისგან საფლავის დაუყოვნებლივ აღდგენა, თუმცა დღემდე მათგან მხოლოდ ცინიკურ პასუხებს ვღებულობთ.

საზეიმო ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ, მამა აკაკიმ მადლობა მოახსენა ეპისკოპოსს ჩამობრძანებისა და დღესასწაულის ჩვენთან ერთად გაზიარებისთვის. ბოლოს ყველანი საზეიმო სუფრაზე შევიკრიბეთ.

ვასილ ბალიაშვილი

ჩვენი გულისტკივილი

2012 წლის 3 ნოემბერს, „საბას“ კორესპონდენტების შეხვედრაზე გამოითქვა სურვილი, რომ ჟურნალს ახალი რუბრიკა დაემატოს, კერძოდ, – „საკრებულოს სატკივარი“. სატკივარი და საწუხარი კი ყველა საკრებულოს აქვს. „საბას“ ფურცლებზე ერთმანეთისათვის გაზიარებული ტკივილი პრობლემის გადაწყვეტის ერთ–ერთი საშუალებაც იქნება, – აღნიშნეს რედაქციის წევრებმა და კორესპონდენტებმა. მართლაც, ერთმანეთის დახმარებით, სხვადასხვა საკრებულოების გამოცდილების გაზიარების გზით, შეიძლება მრავალი პრობლემა თუ არა, მცირედი მაინც გადაიჭრას, რაც მისასალმებელი და დასაფასებელია.

პირველმა ეს მოვალეობა თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძრის კორესპონდენტმა და კატეხისტმა ითავა. შემდეგ ნომრებში კი თავის გულისტკივილს სხვა საკრებულოებიც გაგვიზიარებენ.

რედაქცია

ეკლესიის ძალისხმევათა ერთობლიობას, შესძინოს მოწაფეები იესო ქრისტეს, კატეხიზმო ეწოდება. კატეხიზაცია კი ჩვილთა, ყრმათა, მოზრდილთა სარწმუნოებრივი აღზრდაა. ეს არის ტრადიცია, რომელსაც კათოლიკური ეკლესია მრავალი საუკუნეა მისდევს და რასაც ბოლო ხანებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

წელს, ოქტომბერში აღინიშნა კათოლიკურ ეკლესიაში მომხდარი ღირსშესანიშნავი მოვლენის 50-ე წლისთავი. დიახ, 1962 წელს კათოლიკური ეკლესიის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა, რომის პაპმა იოანე XXIII–მ მოიწვია ვატიკანის II კრება, რომლის აქტები წარმოადგენენ საეკლესიო–საღვთისმეტყველო აზროვნების ფუნდამენტურ ტექსტებს. 1985 წელს კი, იოანე პავლე მეორემ, ამ კრების ოცი წლისთავთან დაკავშირებით მოწვეულ სინოდზე, გადაწყვიტა კათოლიკური ეკლესიის კატეხიზმოს შედგენა და გამოცემა. სინოდზე შეკრებილმა მამებმა დაადგინეს: „... შედგენილ იქნას მთელი კათოლიკური მოძღვრების, როგორც სარწმუნოებრივი, ასევე ზნეობრივი კატეხიზმო...“. სწორედ ამ კატეხიზმოს მიხედვით და ვატიკანის II კრების მასალებზე დაყრდნობით, თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების კათედრალური ტაძრის გახსნიდან (1999 წელი) დღემდე, მიმდინარეობს მოზრდილთა მომზადება ნათლისღების, პირველი აღსარებისა და ზიარებისათვის. ეს კატეხიზმო ერთგულად და ორგანულად წარმოადგენს საღმრთო წერილის სწავლებას, ეკლესიის ერთ–ერთ ძალისხმევას მორწმუნეთა მოზიდვისა და განათლებისათვის. სარწმუნოება ისწავლება კატეხიზაციის პერიოდში და მისი აღსრულება ხდება ლიტურგიაში. ეკლესიის ამოცანაა, სასაუბროდ მივიდეს თითოეულ ადამიანთან, რასაც ჩვენი ტაძრის კატეხისტები ზედმიწევნით ცდილობენ, რამეთუ იყენებენ ყველა საშუალებას ევანგელიზაციისათვის.

აღსანიშნავია, რომ ეკლესიის კატეხიზაციაზე პასუხისმგებელია ჩვენი ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, რადგანაც ეპისკოპოსის სამწყსო საზრუნავში მრევლის კატეხიზაციაც შედის. ამდენად, ფრიად სამწუხარო ტენდენციაა ბოლო წლების მანძილზე კატეხიზაციის მსმენელთა რიცხვის შემცირება. ასევე სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ მათგანს სურს კატეხიზაციის გარეშე მიიღოს პირველი ზიარება და ხშირად ამის მიზეზად უდროობას ასახელებს. კვირაში ერთი საათის დათმობა ღმერთისთვის არცთუ ისე დიდი შესაწირია, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს ერთი საათი ღვთის დახმარებით საკუთარი სულის გადასარჩენად დახარჯული დროა. ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენს პირობებში კატეხიზაციის კურსი ექვს თვეს მოიცავს, ევროპული ორწლიანი ტრადიციისგან განსხვავებით.

კატეხიზაციაში ჩართული მორწმუნეთა ჯგუფები ის მცირე საკრებულოებია, რომლებიც შენაკადების სახით მომავალში უნდა შეერწყას ადგილობრივი ეკლესიის მოქმედ საკრებულოს და მასთან ერთად ურთიერთობა დაამყაროს მთელ კათოლიკურ სამყაროსთან. ამგვარად, კატეხიზაციაზე უარის თქმა ამ ურთიერთობათა უარყოფა და, ამავე დროს, მთელ საღმრთო ერთან თანაზიარების უგულებელყოფაა.

აქვე ისიც უნდა დავამატოთ, რომ იმ მსმენელთა ნახევარზე მეტმა, ვინც კატეხიზაცია გაიარა და დიდ ხუთშაბათს აღფრთოვანებით მიიღო პირველი ზიარება, თანდათან შეწყვიტა ეკლესიაში სიარული.

კატეხისტთა გულისტკივილს ეკლესიის წინამძღვრის მამა ანდრეის წუხილიც უნდა დავუმატოთ, რომელსაც მთლიანად იზიარებს სამრევლო საბჭოც. ეს არის საკრებულოს წევრების სისტემატური დაგვიანება წირვაზე, რის გამოც არათუ ღებულობენ მონაწილეობას ღვთის სიტყვის ლიტურგიაში, არამედ ხელს უშლიან წირვის მსვლელობას.

და კიდევ, უფლის ათი მცნებიდან მესამე მცნების თანახმად, რომელიც ამბობს: „კვირა და უქმე დაიცავი“, მორწმუნეებს შეძლებისდაგვარად მოეთხოვებათ კვირადღეს თავი შეიკავონ მძიმე საქმეების კეთებისგან და არ გამოიყენონ დაქირავებული შრომა. ამიტომ, ეკლესიის პერსონალი, რომელიც ყოველდღე, დილიდან საღამომდე ეკლესიაში იმყოფება, კვირადღეს გათავისუფლებულია ამ მოვალეობისაგან, შესაბამისად, მრევლმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა საკვირაო წირვის შემდეგ ორი–სამი საათის განმავლობაში ეკლესიაში მორიგეობაზე. ეს ტრადიცია წარმატებით ხორციელდებოდა წლების მანძილზე, მაგრამ თანდათან, როგორც ჩანს, დავიწყებას მიეცა და ეკლესია კვირაობით ზედამხედველობის გარეშე რჩება.

იმედია, საკათედრო ტაძრის მრევლი გაიზიარებს ჩვენს გულისტკივილს და ჩვენი თხოვნა არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“

თინა კოკოჩაშვილი
მარიამის ზეცად აღყვანების
საკათედრო ტაძარი

გავიაროთ სახარების გზა წმიდა ლუკასთან ერთად

წმ. ლუკას ვინაობა

ლუკას სახარების კითხვისას ჩვენს ყურადღებას იპყრობს ავტორის დახვეწილი სტილი, რაც ნათელს ჰფენს მის პიროვნულ მხარეს. ლუკა განათლებული ადამიანია, ისტორიკოსი, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა მოწმეთა ცნობები და ცდილობს ჭეშმარიტი ტრადიცია შეინარჩუნოს. იგი სიტყვის ნამდვილი ოსტატია. აშკარაა, რომ ლუკა ელინისტური კულტურის წარმომადგენელია, მას, იმავდროულად, სიღრმისეულად აქვს შესწავლილი იუდაური სამყაროს თავისებურებები.

სახარების შესავალში ლუკა წარმოგვიდგება როგორც ქრისტიანთა მეორე თაობის წარმომადგენელი: *„რაკი უკვე ბევრმა მიჰყო ხელი ჩვენს შორის აღსრულებულ ამბავთა თანამიმდევრულ აღწერას, როგორც გადმოგვცეს თავიდანვე თვითმხილველებმა და სიტყვის მსახურებმა...“* (ლუკ. 1, 1-2).

„მოციქულთა საქმეების“ წიგნი საშუალებას გვაძლევს, მეტი ინფორმაცია მოვიპოვოთ მისი პიროვნების შესახებ. ეჭვს არ იწვევს ამ წიგნის ავტორის ვინაობა, რადგანაც სახარების და „მოციქულთა საქმეების“ ადრესატი არის ერთი და იგივე პირი, ვინმე თეოფილე, და „საქმეებში“ პირველი წიგნის შესახებ ნათქვამია: *„პირველი წიგნი, თეოფილე, მე შევადგინე ყოველივე იმის შესახებ, რისი კეთება და სწავლებაც დაიწყო იესომ იმ დღემდე, ვიდრე ამაღლდებოდა...“* (საქმე 1, 1-2). შემდგომ თხრობა მიმდინარეობს მესამე პირში, ხოლო მე-20 თავში მოულოდნელად პირველ პირზე გადადის: *„**ისინი** წინ წავიდნენ, რათა **დაგვლოდებოდნენ** ტროადაში. **ჩვენ** კი უფუარობის შემდეგ ფილიპედან გავცურეთ და მეხუთე დღეს მივედით მათთან ტროადაში...“* (საქმე 20, 5-6). ამგვარად, ჩვენთვის ცნობილი ხდება, რომ ლუკა მონაწილეობდა წმ. პავლეს 55-60 წწ. მოგზაურობებში.

ლუკას და პავლეს შეხედულებანი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პავლეს წერილები, სავარაუდოდ, ოცი წლით უსწრებს ლუკას სახარების საბოლოო რედაქციას და შეიცავს ეკლესიის პირველ კატეხეზას, რომელიც პასუხობდა ახლად დაარსებული საკრებულოების მოთხოვნილებებს, წარმოშობილ პრობლემებს თუ კონფლიქტებს. ამავდროულად, ორივეს ახასიათებს ზრუნვა ქრისტიანული რწმენის უნივერსალური ხასიათის წარმოჩენასა და შენარჩუნებაზე. ბოლო სერობის დროს, იესოს მიერ წარმოთქმული სიტყვა ლუკასთან და პავლესთან იდენტურია: ორივე მოწმობა წარმოგვიდგენს ანტიოქიის ეკლესიის ტრადიციას.

თავის ეპისტოლეებში პავლე ლუკას მოიხსენიებს, როგორც თანამგზავრს და რომაული ტყვეობის მოწმეს (კოლ. 4, 14; 2 ტიმ. 4, 10-11; ფილ. 1, 24), ხოლო კოლოსელთა მიმართ წერილის თანახმად, მას უწოდებს *„საყვარელ მკურნალს“* (კოლ. 4, 14).

ლუკა არ არის იუდეველი. ზოგიერთი გადმოცემის მიხედვით, ის ანტიოქიელი ექიმი იყო, თავისი სახარება შეადგინა აქაიაში ან იტალიაში, გარდაიცვალა საბერძნეთში. ზოგჯერ მას მოიხსენიებენ, როგორც ერთ-ერთს იესოს მიერ მისიაზე წარგზავნილ სამოცდათორმეტ მოწაფეთაგან.

უძველესი მოწმობანი

მესამე სახარების შესახებ პირველი მოწმობა ირინეოს ლიონელთან გვხვდება (Adv. Haer. III:1,1- ერესების წინააღმდეგ), შემდგომ, პროლოგში მარკიონეს წინააღმდეგ, ტერტულიანეს მიერ მოყვანილ ციტატებში (Adv. Marc. 4, 5 – მარკიონეს წინააღმდეგ), კლემენტე ალექსანდრიელთან (Strom. 1, 21, 145 – სტრომატები) და ევსები კესარიელის მიერ მოყვანილ ორიგენეს ტექსტებში (Hist. Eccl. VI, 25, 6 – საეკლესიო ისტორია). მეორე საუკუნეში ირინეოსი წერს:

> *„მართლაც, ჩვენი ხსნის განგებულება შევიტყვეთ სხვათაგან, ვინც მოგვაწვდინა კეთილი უწყება. სახარება თავდაპირველად ნაქადაგები იყო, შემდგომ ღმრთის ნებითა და შთაგონებით ჩაიწერა... ისინი მიწის კიდემდე მივიდნენ... აუწყებდნენ ზეციურ მშვიდობას ხალხებს, თითოეული მათგანი, თავისი პიროვნებიდან გამომდინარე, განსხვავებულად და, ამავდროულად, არსობრივად ერთსა და იმავეს აწვდიდა მათ, ერთნაირად მოჰქონდათ ღმრთის სახარება.*
>
> *შემდეგ მათემ გამოაქვეყნა და გაავრცელა სახარება ებრაელთა შორის, მათ მშობლიურ ენაზე, სახარება დაიწერა მაშინ, როდესაც პეტრე და პავლე ქადაგებდნენ რომში და იქ დააარსეს ეკლესია. მათი სიკვდილის შემდეგ, მარკოზმა, პეტრეს მოწაფემ და თარჯიმანმა, აგრეთვე წერილობით გადმოგვცა პეტრეს ქადაგება. ასევე ლუკამ, პავლეს თანამგზავრმა, ჩაწერა მის მიერ ნაქადაგები სახარება. ბოლოს იოანემაც, უფლის მოწაფემ, რომელსაც თავი ჰქონდა დასვენებული მის მკერდზე, სახარება ასიაში, ეფესოში ყოფნისას დაწერა“.*

დაწერის თარიღი და ადგილი

ტრადიციის მიხედვით, ლუკას შესახებ ცნობები ზუსტად შეესაბამება წარმოდგენას მის პიროვნებაზე, რომელიც იქმნება სახარებისა და „მოციქულთა საქმეების“ წაკითხვისას. მისი სახარება წარმართთა საკრებულოსთვის დაიწერა და თეოფილე, ვისაც მიმართავს ლუკა, არის ბერძნული კულტურის წარმომადგენელი. მაგრამ შეუძლებელია დავაზუსტოთ, თუ სად დაწერა ლუკამ თავისი სახარება და სად ცხოვრობდა თეოფილე.

ლუკას წიგნების დაწერის თაობაზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. სახარება დაიწერა „მოციქულთა საქმეებზე“ ადრე, რაზედაც თავად „საქმეების“ ტექსტი მიუთითებს. ამ წიგნში თხრობა მთავრდება 62 წლის მოვლენებით – პავლეს პირველი შეპყრობით რომში, არაფერია ნათქვამი მისი აღსრულების შესახებ. ლუკა იყენებს მარკოზის ტექსტს და გადმოგვცემს უკვე ჩამოყალიბებული საკრებულოს ცხოვრებას, რაც მკვლევარებს სახარების უფრო გვიანდელი დათარიღების საფუძველს აძლევს. ბევრი მათგანი მიიჩნევს, რომ სახარება დაიწერა 70-90 წლებში. მაგრამ საკითხი მაინც ღიად რჩება. მე არ ვიზიარებ ამ მოსაზრებას და სახარების საბოლოო რედაქციის სარწმუნო თარიღად მივიჩნევ სამოციანი წლების შემდგომ ეტაპს – სამოცდაათიანი წლების დასაწყისს, ხოლო „მოციქულთა საქმეების“ – პავლეს სიკვდილთან (67 წ.) მიახლოებულ პერიოდს.

ლუკას წყაროები

სახარების შესავალში ლუკა ამბობს, რომ თავისი ნაშრომი შეადგინა უკვე არსებული დოკუმენტების საფუძველზე: *„რაკი უკვე ბევრმა მიჰყო ხელი ჩვენს შორის აღსრულებულ ამბავთა თანმიმდევრულ აღწერას... მეც მივიჩნიე, რომ მას შემდეგ, რაც*

გულდასმით გამოვიკვლიე ყოველივე თავიდან, თანმიმდევრულად აგიწერო...“ (ლუკ. 1, 1.3). მაგრამ „თანმიმდევრობაში“ იგულისხმება არა ქრონოლოგია, არამედ თეოლოგიური ჩანაფიქრის გეგმა. სავარაუდოდ, ლუკას ძირითადი წყარო მარკოზის სახარებაა. ლუკასთან გამოყენებული წყაროები დაცულია, ამავე დროს, მისი სტილი ბევრად უფრო დახვეწილია. იგი თავს უყრის არსებულ წყაროებს აღრევის გარეშე, აკეთებს უამრავ, თითქოს და უმნიშვნელო შესწორებებს, რომელთა წყალობით მისი სახარება „sfumato“-ს, „შერბილებულ“ ატმოსფეროს ქმნის. მაგალითად, ლუკა არაფერს ამბობს იესოს გრძნობათა გამოვლინების შესახებ (შდრ. მარკ. 1,41-43 და ლუკ. 5, 13-14; რისხვა: მარკ. 3, 5 და ლუკ. 6, 8). ეს ნათლად იკვეთება გეთსიმანიის ბაღის ეპიზოდში: მარკოზის სახარებაში იესო *„დაემხო მიწაზე“* (14, 35), ლუკასთან – *„მუხლი მოიყარა“*, მას *„ეჩვენა ციდან ანგელოზი და აძლიერებდა“*, (22, 41.43), ლუკა მოწაფეების გამართლებასაც ცდილობს – იესომ *„ნახა ისინი მწუხარებისაგან ჩაძინებულები“* (22, 45). ქრონოლოგია არ არის ზუსტად დაცული, მახარებელი ხშირად ამატებს: „იქნებოდა ასე...“. მაგრამ ზოგ შემთხვევაში ლუკა საკმაოდ ზუსტია: ჰეროდე არის „ტეტრარქი“, გალილეის ზღვას უწოდებს ტბას და ა.შ.

ლუკასთვის დამახასიათებელი ფუნდამენტური თემები

a. ქრისტეს სახე. ქრისტე არის უფალი და „ნიმუში“, მაგალითი მთელი კაცობრიობისთვის. სახარების პირველივე ეპიზოდებიდან იესო წარმოდგენილია, როგორც წინასწარმეტყველი და მეფე ისრაელისა, როგორც მსახური და **მხსნელი**, მაგრამ განსაკუთრებით, როგორც **უფალი**. მართალია, იესოს ცხოვრების „გასაღები“, საკვანძო მოვლენა არის აღდგომა, რომელშიდაც ვლინდება მისი, როგორც „ქრისტესა და უფლის“ დიდება, მაგრამ სწორედ **ხსნა** არის იესო ქრისტეს მისია.

ლუკასთვის დამახასიათებელია ყოველი სიტუაციისა და მოვლენის ზუსტი აღქმა და შეგრძნება. სწორედ ეს თვისება ეხმარება მას იესოს სახის წარმოჩენაში ელინური სამყაროს წინაშე: ლუკა ხაზს უსვამს იესოს სიყვარულს ღატაკთა და მცირეთაგანთა მიმართ (თვინიერება და მიტევება, სიყვარული და გულისხმიერება, მორჩილება); სიღატაკე ლუკასთან – ღმრთის სასუფეველში შესვლის აუცილებელი პირობაა. ყოველივე ეს მჭიდროდ არის დაკავშირებული გულმოწყალებასთან (დანტე უწოდებს ლუკას „Scriba mansuetudinis Christi“ – „ქრისტეს გულმოწყალების მწერალი“)

b. სახარების განხორციელება ცხოვრებაში: მოყვასისთვის გაზიარების უნარი, მიტევება და მოთმინება – სამი მიმართულებაა, რასაც იესო ასწავლიდა მასთან გზაში მყოფ მოწაფეებს. ეს არის ცხოვრებისა და იესოს მიერ დათესილი უწყების თანხვედრის ნიშანი. ეს არის აღსრულება იმისა, რასაც ღმერთი თავის ძეში გვიცხადებს. ეს არის მუდმივი მოქცევის საჭიროება, რაც, თავის მხრივ, ჩვენი სიყვარულის, სიყვარულში თანამოზიარეობის საწინდარია.

*მოყვასისთვის გაზიარების უნარი: ალერსით მოპყრობა მცირეთაგანთა მიმართ, ხელგაშლილობა, თავგანწირვა, განსაკუთრებული ყურადღება ღატაკთა მიმართ.

*მიტევება: მოწყალება და გულისხმიერება ყველას მიმართ (იხ. ლუკ 15).

*მოთმინება: არა მხოლოდ აიტანო, არამედ ბოლომდე გაუძლო.

c. სულიწმიდა – ლოცვა – მისია – ეკლესია

**** სულიწმიდა.*** ლუკა სხვა მახარებლებზე ხშირად იყენებს სიტყვას „სული“ (ლუკასთან ეს სიტყვა 36-ჯერ გვხვდება, აქედან 20-ჯერ, როგორც „სულიწმიდა“, მათესთან – 19-ჯერ, მარკოზთან – 23-ჯერ, იოანესთან – 24-ჯერ; უნდა აღინიშნოს, რომ მათე და მარკოზი ამ სიტყვას ხშირად იყენებენ არაწმიდა სულებთან მიმართებაშიც), რაც შეეხება „მოციქულთა საქმეებს“, ამ წიგნში „სულიწმიდა“ ნახსენებია 70-ჯერ!

„სული“, როგორც ცნება, უკვე ძველ აღთქმაში და ყუმრანის ტექსტებში გვხვდება. მაგრამ ლუკასთან ეს სიტყვა განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს და გამოყენებულია როგორც პირის, პიროვნების საკუთარი სახელი. სულიწმიდა ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირია ხარების ეპიზოდიდან (2,35) ცად ამაღლებამდე (24,51) და ყოველთვის საზეიმო განწყობას ქმნის, უდიდესი სიხარული მოაქვს. „საქმეებში“ მისი მოქმედება განსხვავდება ქრისტეს მოქმედებისაგან: ორმოცდაათობის დღესასწაულის დროს სულიწმიდის გარდამოსვლა – სულთმოფენობა – წარმოგვიდგება როგორც ღმრთის განხორციელება ეკლესიაში სულიწმიდის მეშვეობით. იესო არის განხორციელებული სიტყვა და ლუკას სახარების დასაწყისში ადამიანებს სწორედ სულიწმიდა უცხადებს მარადიულ სიტყვას და ამ სიტყვას მარიამში ჩასახავს. შემდეგ იგი მკვიდრდება ეკლესიაში მოწაფეთა გულმხურვალე მოწმობით, რადგანაც ისინი წინასწარმეტყველთა მემკვიდრენი არიან. მისიაზე წარგზავნილი მოციქულები მოიხსენიებიან როგორც *„სიტყვის მსახურები“* (იხ. ლუკ. 1, 2): ამგვარად, სულიწმიდა იესოს ამკვიდრებს ქრისტიანთა საკრებულოს წიაღში.

სულიწმიდის თავისებურებანი ლუკასთან:

- კავშირი ხსნის ისტორიასთან: სულიწმიდა თავად წარმართავს ისტორიას.
- ჯერ კიდევ პასექამდე, იესოს განსაკუთრებული კავშირი ჰქონდა სულიწმიდასთან, რასაც მოციქულები ჯერ ვერ აცნობიერებენ.
- სულიწმიდის გარდამოსვლა ყველა მორწმუნეზე არ აბრკოლებს ინდივიდუალურ წინასწარმეტყველურ გამოცდილებას.
- სულიწმიდა, ისევე როგორც ქრისტე, ინდივიდუალური ძალაა.
- სულიწმიდის გარდამოსვლა ორმოცდაათობის დღეს ქრისტეს დიდების შედეგია.
- ადამიანებისგან სრულიად დამოუკიდებლად, სულიწმიდამ დაამყარა კავშირი მოციქულებთან და საკრებულოს ლოცვასთან.

****ეკლესია.*** ლუკას სახარებაში ჩვენ ვხედავთ მოწმობას ეკლესიის შესახებ, მაგრამ განსაკუთრებული როლი მას მინიჭებული აქვს „მოციქულთა საქმეების“ წიგნში. სახარების კითხვისას, ვხედავთ, თუ როგორ ყალიბდება იესოს გარშემო ქრისტიანული საკრებულო – კონცენტრული წრეების მსგავსად: თორმეტი მოციქული, სამოცდათორმეტი მოწაფე, ხალხი. ეკლესია ადგილობრივი საკრებულოა, მაგრამ, ამავდროულად, **ერთია**, რომელიც არს ერთ სხეულად შეკრებილი ახალი ერი. მოწმობანი დევნის შესახებ წარმოაჩენენ ეკლესიის არსს და დიდებას.

****ლოცვა.*** იესოს ლოცვა ნიმუშია ჩვენთვის: იესო ლოცულობდა ნათლობის დროს, როცა *„ვადმოვიდა მასზე სულიწმიდა“* (ლუკ. 3, 21-22), ლოცულობდა ფერისცვალებისას (ლუკ. 9, 28-29), *„დიდძალი ხალხი“*, რომელიც დაჰყვებოდა მას, ხედავდა, რომ *„ის უდაბურ ადგილებში მიდიოდა და ლოცულობდა“* (ლუკ. 5, 15-16), იესო გვასწავლის, როგორ უნდა ვილოცოთ: *„როცა ლოცულობთ, თქვით: მამაო ჩვენო...“* (ლუკ. 11, 2), მოუწოდებს მოციქულებს ლოცვისკენ, რათა სულიწმიდის თხოვნით მიმართონ ზეციერ მამას (ლუკ. 11, 13), სახარების ბოლო მუხლი მოგვითხრობს მოციქულებზე, რომლებიც ტაძარში ლოცულობდნენ უფლის ამაღლების შემდეგ: *„და სულ მუდამ ტაძარში იყვნენ, ღვთის მადიდებელნი და მაკურთხეველნი“* (ლუკ. 24, 53).

d. ისტორია

ლუკა ისტორიკოსია, მაგრამ არა მხოლოდ ისტორიკოსი:

„დღევანდელი დღის“ თეოლოგია ხაზს უსვამს სახარების ესქატოლოგიურ განზომილებას – ხსნა არ არის არც წარსულში, არც ხვალინდელ დღეში! გამოთქმა „დღეს“ ჩვენ გვესმის ბეთლემის ანგელოზებისგან, ამას ემატება „მამაო ჩვენო“, ზაქეს მოხმობა, კეთილი ავაზაკისადმი ჯვარცმული იესოს სიტყვები... ჩვენ „დღეს“, დღესვე უნდა შევხვდეთ იესოს, რათა ჩვენი მოწმობით გაცხადდეს ღმრთის სასუფეველი.

e. სახარება, როგორც ჩვენს მიერ გასავლელი გზა

ამ მნიშვნელოვანი თემების წყალობით, სახარებისა და „საქმეების“ კითხვისას, იკვეთება ისტორიული და გეოგრაფიული მარშრუტი, გზა, რომელიც, იმავე დროს, თეოლოგიურ გზას წარმოადგენს. „გზის გავლის“, „სიარულის“ ფუძემდებლური იდეა მჭიდროდ არის დაკავშირებული „ქმედება-განხორციელებასთან“ და „დამოწმებასთან“. ლუკ. 9, 51 – თარგმანში ნათქვამია, რომ იესომ *„იბრუნა პირი იერუსალიმში ასასვლელად“*, მაგრამ ბერძნულ ორიგინალში ხაზგასმულია, რომ *„მან, როგორც პირმა, მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო“*: მისი გზა არის მიზანსწრაფვა, მისიის აღსრულება. იესოს გზა „საქმეებშიც“ გრძელდება – უკვე როგორც სიტყვის გზა. კეთილი უწყება არ არის თეორია ან დოქტრინა, ეს არის რეალურად გასავლელი გზა!

– ***გეოგრაფიულ-თეოლოგიური მიმართულება:*** ლუკას სახარების გზა ტაძარში იწყება და ტაძარშივე სრულდება, გალილეის მხარეში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, სახარებას, იესოსთან ერთად, მივყავართ იერუსალიმში ასვლამდე... განვლილ გზაზე სხვა მითითებანიც შემთხვევითი როდია: მორწმუნე ყოველთვის გზაში იმყოფება ქრისტესთან ერთად, იგი არასდროს ჩერდება. წმიდა ოჯახი მომლოცველობას ასრულებს (2, 4.22.41), იესო მიემართება იერუსალიმისკენ (9, 51). ეს გზა არის „გამოსვლა“ (9, 31 – თარგმანში *„წასვლაზე ლაპარაკობდნენ“*, ბერძნულ ორიგინალში კი გამოყენებულია სიტყვა „exodon“- *„გამოსვლის შესახებ ლაპარაკობდნენ“*), რადგანაც იესო უნდა განშორებოდა ამა სოფელს, უკვე *„მოახლოვდა მისი ამაღლების დღეები“* (9, 51 – ბერძნულში: *„დადგა მისი ამაღლების აღსრულების დღეები“*). „საქმეებში“ თხრობა იწყება იერუსალიმიდან, გრძელდება სამარიასა და ანტიოქიაში, ხმელთაშუა ზღვის მთელ აუზს მოიცავს და მთავრდება რომში. თავად იესო ამბობს: *„...თქვენ... იქნებით ჩემი მოწმენი იერუსალიმში, მთელ იუდეასა და სამარიაში და ქვეყნის კიდემდე“* (საქმე 1, 8). რწმენა არის მამოძრავებელი ძალა, სულიწმიდა კი – ის შინაგანი ენერგია, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მორწმუნეს, გაიზიაროს იესოს გზა.

– ***ქრონოლოგიურ-თეოლოგიური მიმართულება:*** სახარების ბოლოს, ემაუსის გზის ეპიზოდში, ლუკა გვაძლევს ერთგვარ დასკვნას (ლუკ. 24, 27- და შემდეგი). ჩვენ გვსურს ვიცოდეთ, როგორ განუმარტავს ქრისტე მომლოცველებს წმიდა წერილს... და მართლაც, ჩვენ ვიგებთ: ლუკა სწორედ ამას გვამცნობს თავის სახარებაში! დაწყებული მოსეს რჯულიდან, წინასწარმეტყველთა ყველა წერილის „გავლით“, ლუკა მიგვითითებს წმიდა წერილის ყველა ეპიზოდზე, სადაც საუბარია იესოზე. იესომ მოციქულთ გული და გონება გაუხსნა წმიდა წერილის სიღრმისეული გააზრებისთვის... თავად ლუკა სათუთად ინახავს ამ მოძღვრებას! ლუკ. 24, 44-48 მუხლების სიტყვებში იკვეთება ხსნის ისტორიის საყოველთაო განზომილება, რაც უკვე ხაზგასმული იყო იესოს გენეალოგიაში (ლუკ. 3, 23-38): იესოს წარმოშობა ადამიდან იწყება – კაცობრიობის მამიდან (და არა აბრამიდან, როგორც ამას აღწერს მათე).

> ***„...უნდა შესრულდეს ყოველივე, რაც დაწერილია ჩემზე მოსეს რჯულში, წინასწარმეტყველებში და ფსალმუნებში“. მაშინ გაუხსნა მათ გონება წერილის გასაგებად და უთხრა მათ: „ასე სწერია, რომ ქრისტე უნდა დაიტანჯოს და მკვდრეთით აღდგეს მესამე დღეს; და მისი სახელით ნაქადაგები უნდა იყოს მონანიება ცოდვათა მისატევებლად ყველა ხალხში, იერუსალიმიდან მოყოლებული. თქვენ კი ამის მოწმენი ხართ“***
>
> (ლუკ. 24, 44-48)

ლუკასთვის დამახასიათებელი მთავარი ტექსტები

თავი 1: შესავალი; თავი 3: მისია სულიწმიდაში; თავი 15: მოწყალების იგავები; თავი 23: ვნებანი და მოწყალება; თავი 24: ემაუსის გზა.

სახარების გეგმა

ეს არის გზა, რომელიც მარადიულმა სიტყვამ, „მადლის სიტყვამ“ (შდრ. ლუკ. 4, 22) განვლო, რათა მამისაგან მოვლენილმა აღასრულოს თავისი მიწიერი მისია და მასვე დაუბრუნდეს. ეს გზა შეიძლება ხუთ ეტაპად დავყოთ და შევადაროთ ადამიანის ხელის მტევნის ხუთ თითს: ცენტრალური ნაწილი, შუათითის მსგავსად, ყველაზე გრძელია, ბოლო ნაწილი კი (ვნებანი და აღდგომა) – დიდი თითის მსგავსად, ყველაზე მნიშვნელოვანია.

ნაწილი პირველი
(ნეკი: ყრმა მოევლინა ღატაკთათვის)

განკაცება: სიტყვა ევლინება მამისაგან სულიწმიდით (1-4)

1. წარმომავლობა (1-2)

A. უმანკო ჩასახვა. *„სულიწმიდა გადმოვა შენზე და მადლის ძალა მოგიჩრდილავს. ამიტომ წმიდა შობილი იწოდება ღვთის ძედ.“* (1, 35) (ღმრთიური მამობა)

მარიამის ეპიზოდების პარალელურია ზაქარიას, ელისაბედისა და იოანეს ციკლი: ღმერთი ნაყოფიერებას აძლევს თავის ბერწ ხალხს.

B. მხსნელი ყრმა. *„თქვენთვის იშვა მაცხოვარი“* (2,11); *„იხილა ჩემმა თვალმა შენი ხსნა“* (2, 30).

შობიდან მირქმამდე: იესო არის „მხსნელი ღმერთი“ (მხსნელი)

C. ძის თვითშეგნება. ტაძარში, ძე ღმრთისა მამის სახლში (იესოს ძეობა)

2. დასაწყისი (3 – 4)

A. სამების გამოცხადება. ნათლობიდან ცდუნებამდე: მამა მიუთითებს ძეზე სულიწმიდაში და ძე პასუხობს.

B. მისიის გამოცხადება. წინასწარმეტყველებათა აღსრულება და სულიწმიდის სისავსე. „მადლის სიტყვის“ წარმოშობა.

ნაწილი მეორე
(არათითი: კავშირი)

სიტყვის გაცხადება (5 – 9,50)

1. სიტყვა ისრაელის მიმართ: მორჩილება იბადება მოსმენისგან (5-6)

A. სიმონ-პეტრეს მოხმობა (ის, ვინც ისმენს)
B. მიტევება. ნეფეს ნადიმი „სნეულებთან“. განკურნება შაბათ დღეს.
C. სიტყვა გამოცხადების შესახებ: მოწყალების კანონი. აკეთე, რასაც გეუბნები.
2. მისიონერული სიტყვა: სიცოცხლე იბადება რწმენისაგან (7 – 8, 21)
A. ასისთავი (ის, ვისაც სწამს)
B. სიცოცხლის ძღვენი. წინასწარმეტყველური განკურნება. სიყვარული და მიტევება.
C. იგავი მოსმენის უნარის შესახებ: სიმტკიცის კანონი. აკეთე, რასაც გეუბნები.
3. იესოს პიროვნება (8, 22 – 9, 50)
A. მოწაფეთა შეკითხვა: *„ვინ არის ეს?“* (8, 25)
ხელმწიფების ქონა ქარიშხალზე, არაწმიდა სულებზე, სნეულებასა და სიკვდილზე.
B. ჰეროდეს შეკითხვა: *„ეს კი ვინ არის, ვისზეც ასეთი რამ მესმის?“* (9, 9)
სიცოცხლის ძალა, რომელსაც მსოფლიოს დაპურება ძალუძს.
C. იესოს შეკითხვა: *„თქვენ კი რაღას ამბობთ: ვინა ვარ მე?“* (9, 20)
ადამიანთა პასუხი: პეტრეს მიერ რწმენის აღიარება. ვნებათა წინასწარმეტყველება. იტვირთე თვისი ჯვარი.
მამის პასუხი: *„ეს არის ძე ჩემი საყვარელი, მას უსმინეთ.“* (9, 35). მამისა და ძის ურთიერთობა.
(მამის მოწმობა. იესო კურნავს ერთადერთ ძეს. ვნების წინასწარმეტყველება. უნდა გახდეთ როგორც ბავშვები).

ნაწილი მესამე
(შუათითი: მთავარი ნაწილი)

იერუსალიმში ასვლა; „ორი გზა“ (9, 51 – 17, 10)
1. სასუფეველი მოახლოვდა (9, 51 – 11): მამის შეცნობა
A. გახდე მოწაფე, მისიონერები და ბავშვები მამის შეცნობისა და სიყვარულისთვის.
B. მთავარი მცნება: გახდე მოყვასი (როგორიც ძეა).
C. ლოცვა და სულიწმიდა: ერთობის აუცილებლობა. ლოცვა. სულიწმიდის ამოცნობა.
D. წინასწარმეტყველთა ხმა.
2. არჩევანი სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის: ღმრთის ცეცხლი (12-13).
A. რწმენის დინამიზმი. სიცოცხლის ძალა: სულიწმიდის შემწეობა და ღმრთის განგება.
B. სიფხიზლე ბატონის მოლოდინში: აირჩიე შენი ბატონი.
C. სიბერწის უმოქმედობა ვერ შეაჩერებს სიცოცხლის სასუფეველს.
3. მოწყალება და სამართლიანობა (14 – 17, 10)
A. მოწვევა ღმრთის ნადიმზე: ყველაფერზე უარის თქმა (14)
B. შეხვედრის სიხარული: სამი იგავი მოწყალებაზე (15)
C. *„არც ერთ მსახურს არ შეუძლია ორ ბატონს ემსახუროს“*: იგავები მსახურთა შესახებ – მართლმსაჯულება (16 – 17, 10)

ნაწილი მეოთხე
(საჩვენებელი თითი: მითითება სასუფეველზე)

სასუფეველი იესოშია (17, 11 – 21)
1. სასუფეველი დღეს და აქ (17, 11 – 19, 27)
A. იფხიზლეთ! სასუფეველი თქვენს შორის არის (17, 11 – 17, 37).
1. ამოიცანი უფლის საქმენი. 2. სად და როდის ვპოვებთ სასუფეველს?
B. როგორ დავიმკვიდროთ სასუფეველი (18, 1-34)
1. რწმენა. 2. მორჩილება. 3. თავგანწირვა.
C. დღეს მოგვეცა ხსნა (18, 35-19, 27)
1. ბრმის ნება. 2. ზაქეს მზადყოფნა: *„დღეს მოხდა ამ სახლის ხსნა...“*
2. იესო შედის თავის სახლში (19, 28 – 21)
A. ზეთისხილის მთიდან ტაძრამდე (19, 28 – 19, 48).
მთა. ჩამოსვლა. ტაძარი.
B. ტაძარში: ძის გამოცხადება (20 – 21).
– განწმენდა. ძე-წინასწარმეტყველის ხელმწიფება: მეფე, სიცოცხლე, უფალთა უფალი.
მოსალოდნელი პასუხი: ქვრივი.
– ისტორიისა და სამყაროს მასწავლებლის აპოკალიპტური სიტყვა (კონცენტრულ წრეთა სტრუქტურა).
მოსალოდნელი პასუხი: ნდობა და ერთგულება. იფხიზლეთ!

ნაწილი მეხუთე
(დიდი (ცერა) თითი: ფუძემდებლური ნაწილი)

გამოსყიდვა, ძის დაბრუნება მამასთან სულიწმიდით (22-24)
1. განკაცებული ქრისტე – მსხვერპლშეწირვა მამისთვის: ვნებანი (22 – 23)
A. საიდუმლო სერობა (22, 1-27).
სამზადისი – აღსრულება – მსახურება.
B. გადამწყვეტი ბრძოლა (22, 28 – 22, 65).
წინასწარმეტყველება – ლოცვა – შეპყრობა.
C. გაცემა და უზენაესი განაჩენი (22, 66 – 23, 25).
ძე კაცისა და ძე ღმრთისა (სინედრიონის წინაშე).
იუდეველთა მეფე (პოლიტიკური ხელისუფლების წინაშე).
უდანაშაულოს წინასწარმეტყველური დუმილი (ჰეროდესა და ბრბოს წინაშე).
D. ძის დაბრუნება მამასთან – სულიწმიდით... ავაზაკთან ერთად (23, 26 – 23, 56).
– იერუსალიმის უბედურებათა წინასწარმეტყველება, ძე ევედრება მამას უგუნურთა მიტევებას.
– ხალხი, მთავრები და ჯარისკაცები დასცინიან იესოს.
– ავაზაკის შეძახილი: *„იესო, გამიხსენე, როცა შენს სასუფეველში მიხვალ“* (23, 42)
* ხსნის აღთქმა ძის მიერ: დღესვე – ჩემთან ერთად – სამოთხეში
– ძის შეძახილი: *„მამაო, შენს ხელთ გაბარებ ჩემს სულს“* (23, 46)
– ასისთავი, მთავარნი და ბრბო აღიარებენ ჭეშმარიტებას.
2. მკვდრეთით აღმდგარი ჩვენს გზებზე (24)
A. უწყება აღდგომის შესახებ (24, 1-12).
„გაიხსენეთ, რას გეუბნებოდათ“ (24, 6).
B. ემაუსი: ურწმუნოებიდან რწმენამდე (24, 13-35).
წმიდა წერილი: *„განა ასე არ უნდა დატანჯულიყო ქრისტე და შესულიყო თავის დიდებაში?“* (24, 26).
C. წინასწარმეტყველებათა დადასტურება მოვლინებით (24, 36-43).
„ეს არის ჩემი სიტყვები, რომელთაც გეუბნებოდით...“ (24, 44).
D. წინასწარმეტყველების აღსრულება – მამის მიერ აღთქმული სულიწმიდის ნიჭი (24, 44-53).
საყოველთაო ხსნის გეგმა: წინასწარმეტყველები – ქრისტე – ცოდვათა მიტევება – მონმობა
დასკვნა: სახარების დასაწყისის (1 – 2 თავები) წინასწარმეტყველების აღსრულება.
„...და დაბრუნდნენ იერუსალიმში დიდი სიხარულით. და სულმუდამ ტაძარში იყვნენ, ღვთის მადიდებელნი და მაკურთხებელნი“ (24, 52-53).

მამა პიერ დიუმულენი
ფრანგულიდან თარგმნეს
ალექსანდრა მარგველაშვილმა და მანანა სულაძემ

მწამს, რომ ღმერთი სიყვარულია

უილიამ დანიელ ფილიპსი *(William Daniel Phillips)*: ამერიკელი ფიზიკოსი, 1997 წელს ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიკის დარგში, კერძოდ, შრომისთვის: .“ლაზერული გაციება და ნეიტრალურ ატომთა დაკავება“. დიდი ხნის მანძილზე იგი გახლდათ *National Institute of Standards and Technology-ის* წევრი, მარილენდის უნივერსიტეტის დოცენტი და *International Society for Science & Religion-ის* ერთ-ერთი დამაარსებელი. საიტზე *Templeton Foundation,* 2004 წელს მან დატოვა საკუთარი მოსაზრება ღმერთის არსებობის შესახებ და მეცნიერებასა და რელიგიას შორის ურთიერთკავშირზე.

წერილის შესავალში იგი აცხადებდა: *„როცა მეცნიერება სამყაროს წარმოშობის, მოწყობის შესახებ ახსნა-განმარტებას იძლევა, ბევრი თვლის, რომ ეს ეწინააღმდეგება იმ შეხედულებას, რომ სამყარო ღმერთის საყვარელი ქმნილებაა“, მათ სჯერათ,* რომ *„მეცნიერება და რელიგია შეურიგებელი მტრები არიან. მაგრამ ეს ასე არაა“.* შემდეგ იგი განმარტავს მიზეზებს პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით: *„მე ფიზიკოსი ვარ. ტრადიციულ კვლევებს ვაწარმოებ, ვაქვეყნებ ნაშრომებს საზოგადოებრივ რეცენზირებულ ჟურნალებში, წარმოვადგენ ჩემს კვლევებს პროფესიულ შეხვედრებზე, განათლებული სტუდენტები და სწავლულები ცდილობენ გაიგონ, როგორ მუშაობს ბუნება. სხვა სიტყვებით* რომ *ვთქვა, მე ერთი ჩვეულებრივი მეცნიერი ვარ, ასევე მორწმუნე ადამიანი. დავდივარ ეკლესიაში, ვგალობ გუნდში, კვირაობით ვესწრები კატეხეზებს, ვლოცულობ რეგულარულად, ვცდილობ „ვიყო სამართლიანი, გულმოწყალე და ღვთის მორჩილი“. სხვა სიტყვებით* რომ *ვთქვათ, მე ერთი ჩვეულებრივი მორწმუნე ვარ“.* ამ მოკრძალებული განცხადების შემდეგ, იგი დასძენს: *„მრავალ ადამიანში ეს წინააღმდეგობას იწვევს: სერიოზული მეცნიერი, რომელსაც სერიოზულად სწამს ღმერთი, მაგრამ მრავალთათვის მე ისეთივე ადამიანი ვარ, როგორებიც ისინი არიან... მაშინ, როცა მას-მედია დიდ ყურადღებას უთმობს უკიდურესად მკვეთრად გამოხატული პოზიციის მქონე ათეისტებს, რომლებიც აცხადებენ, რომ რელიგია სულელური ცრურწმენაა, და ასევე ფუნდამენტალისტ კრეაციონისტებს, რომლებიც უარყოფენ კოსმიური და ბიოლოგიური ევოლუციის აშკარა მოწმობას. ჩემს ნაცნობთა უმეტესობას სულაც არ უძნელდება ერთმანეთს შეუთავსოს მეცნიერული ცოდნა და რელიგიური რწმენა“.* ნობელის პრემიის ლაურეატი აგრძელებს: „როგორც ექსპერიმენტულ ფიზიკოსს, მე მჭირდება კონკრეტული ფაქტი, საფუძვლიანი გამოცდილება და ურყევი ლოგიკა ნებისმიერი მეცნიერული ჰიპოთეზის მხარდასაჭერად. როგორ შეუძლია ასეთ ადამიანს ასე მყარად სწამდეს?“ აქ ისმის ორი კითხვა: „როგორ შემიძლია მწამდეს ღმერთი?“ და „რატომ მწამს ღმერთი?“ პირველს იგი ასე პასუხობს: *„მეცნიერს შეუძლია სწამდეს ღმერთი, ვინაიდან ეს რწმენა არ გახლავთ მეცნიერების პრობლემა. მეცნიერულმა შედეგებმა უნდა „გააყალბოს“,* ან *იგი უნდა მოიცავდეს რაიმე ისეთ შედეგს, რაც პრინციპში შეიძლება აჩვენებდეს მტკიცებულების სიყალბეს (...); და პირიქით, არ არის აუცილებელი რელიგიური მტკიცებულების გაყალბება (...), აუცილებელი* არაა, *რომ ყოველი განცხადება მეცნიერული მტკიცებულება იყოს, მას ვერც არამეცნიერულ, უსარგებლო, ან ირაციონალურ განცხადებად ჩავთვლით, ის უბრალოდ არ არის მეცნიერული განცხადება. „ის დიდებულად გალობს“, „კეთილი ადამიანია“, „მიყვარხარ“: ყველა ეს არამეცნიერული მოთხოვნილებაა, რომელსაც შეიძლება დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, მეცნიერება არ არის ერთადერთი სასარგებლო შესაძლებლობა იმისათვის, რომ სიცოცხლის აზრი დავინახოთ“.* მეორე კითხვაზე, ანუ „რატომ მწამს ღმერთი?“, დანიელ ფილიპსი ასე პასუხობს: *„როგორც ფიზიკოსს, ბუნების შესახებ განსაზღვრული თვალსაზრისი გამაჩნია. სამყაროში ვხედავ წესრიგს, მშვენიერებას, აქ თითქმის ყველა ფიზიკური მოვლენა რამდენიმე მარტივი მათემატიკური განტოლებით შეიძლება აიხსნას. ვხედავ, რომ სამყარო, რომელიც ოდნავადაც განსხვავებული სახით რომ შექმნილიყო, სიცოცხლეს ვერ მისცემდა მნათობებსა და პლანეტებს. და არც არსებობს ზუსტი მეცნიერული მიზეზი იმისა, რომ სამყარო სხვანაირი ყოფილიყო. ბევრი კარგი მეცნიერი ამ დაკვირვებამ იმ*

დასკვნამდე მიიყვანა, რომ გონიერ ღმერთს უსათუოდ ასეთი ლამაზი, სადა და სიცოცხლით სავსე უნდა შეექმნა სამყარო. კარგ მეცნიერთა ნაწილი ათეისტია. დასკვნები რწმენიდან გამომდინარეა. სულ ახლახანს, ფილოსოფოსმა ენტონი ფლიუმ, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ათეისტი იყო, გადაიფიქრა და გადაწყვიტა, რომ ასეთ მტკიცებულებათა საფუძველზე მათ უნდა სწამდეთ ღმერთი. ეს არგუმენტები ჩემთვის გასაგებია და ღვთის რწმენას მიძლიერებს, თუმცა საბოლოო არ არის. მე მწამს ღმერთი, რადგან ჩემს ცხოვრებაში ვგრძნობ მის მყოფობას, რადგან მოწმე ვარ ღვთის მადლისა სამყაროში, რადგან მწამს სიყვარულის, რადგან მწამს, რომ ღმერთი სიყვარულია“.

მაგრამ ეს რწმენა, დასძენს იგი, „მაქცევს თუ არა მე სხვებზე უკეთესად პიროვნულად, ან ფიზიკურად? არა მგონია. ვიცი, რომ მრავალი ათეისტი, მეცნიერი და სხვა ადამიანები ჩემზე უკეთესი პიროვნებები არიან. განა მე დაზღვეული ვარ იმისგან, რომ ეჭვი არ შევიტანო ღვთის არსებობაში? არა მგონია. კითხვები მსოფლიოში არსებულ ბოროტებაზე, უდანაშაულო ბავშვების ტანჯვაზე, განსხვავებულ რელიგიურ კონცეფციებზე ჩემში ხშირად ეჭვს ბადებს და მიმანიშნებს ჩემსავე უვიცობაზე. მიუხედავად ამისა, მე მაინც მჯერა მეცნიერების კაზუსის, მხოლოდ იმიტომ, რომ მწამს. როგორც ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი წერს: „რწმენა არის მტკიცე დარწმუნება იმაში, რასაც ვესავთ, დადასტურება იმისა, რასაც ვერ ვხედავთ“ (ებრ. 11.1)

(გამოქვეყნებულია საიტზე Unione cristiani cattolici razionali, 5 ნოემბერი 2012)

თორმეტი შეკითხვა წმიდა მარიამის შესახებ

1. ვინ იყვნენ მარიამის მშობლები?

ბევრი არაფერი ვიცით იმის შესახებ, თუ ვინ იყვნენ წმიდა მარიამის მშობლები, რადგან ისინი არსად ჩანან საღმრთო წერილში და მათს შესახებ იქ არც არაფერია ნათქვამი. ტრადიციულად, მათი სახელებია წმიდა ანა და წმიდა იოაკიმე. ცნობები, რაც მათ შესახებ მოგვეპოვება, მხოლოდ აპოკრიფულ წყაროებშია დაცული. ამგვარი აპოკრიფები კი მრავალრიცხოვანია და სწორედ ისინი ავსებს მათს შესახებ სახარებათა დუმილს. იმის გამო, რომ ეს მონაცემები არაა დაცული საღმრთო წერილის წმიდა კანონში, ისინი ლეგენდურადაა მიჩნეული. ერთი ასეთი წყარო, იაკობის პირველსახარება (პროტოევანგელიუმი), რომელიც ქრისტეს შობიდან 165 წელსაა დაწერილი, ამტკიცებს, რომ მარიამის დაბადება სასწაულებრივად მოხდა, რადგან მისი მშობლები უნაყოფონი იყვნენ, და რომ ანგელოსმა აუწყა მარიამის დაბადება მამამისს, იოაკიმეს, მას შემდეგ, რაც მან ორმოცი დღე იმარხულა უდაბნოში.

რელიგიურ ხელოვნებაში წმიდა ანა მეტწილად გამოსახულია ასაკოვანი ქალბატონის სახით, რაც ეფუძნება ლეგენდას, რომ მარიამის მშობლები ხანშიშესულები იყვნენ. ამავე დროს, მარიამი ხშირად იქვე ჩანს ხოლმე როგორც პატარა გოგონა, რომელსაც წიგნი აქვს გადაშლილი და დედის გვერდით დგას. დედა კი თავის ქალიშვილს მიუთითებს წიგნისაკენ, რაც იმას გამოხატავს, რომ ანა მარიამის მასწავლებელი იყო როგორც სულიერ, ისე ამქვეყნიურ საკითხებში. იოაკიმე უმთავრესად გამოსახება მარტო და ისიც ხანშიშესულია ხოლმე.

ის, რაც სახარებიდან შეგვიძლია ამოვზიდოთ წმიდა ანასა და წმიდა იოაკიმეს შესახებ, ეს თავად მათი ასულია – მარიამი. ძველი ანდაზისა არ იყოს, ვაშლი ხიდან შორს არ დაეცემა. მარიამი უსაზღვროდ ერთგული და მტკიცე იყო თავის რწმენაში. მიუხედავად იმისა, რომ მას არ ესმოდა, როგორ შეიძლებოდა დაფეხმძიმებულიყო მამაკაცი პარტნიორის – ნაყოფის ადამიანური მამის – გარეშე („როგორ იქნება ეს, როცა მე მამაკაცი არ ვიცი?“ – ლუკა 1:34), მარიამი მაინც მიენდო ღმერთს („აჰა, უფლის მხევალი ვარ; ამიხდეს შენი სიტყვისამებრ“ – ლუკა 1:38). მაშინ ანგელოსმა გაბრიელმა დაარწმუნა იგი, რომ ნაყოფი სული წმიდის ძალმოსილებით ჩაისახებოდა. მარიამმა, თავის მეუღლესთან, წმიდა იოსებთან, ერთად, იესო იერუსალემის ტაძარში მიიყვანა, როგორც ეს წესად იყო დადებული. მას უყვარდა თავისი ოჯახი და სანათესავო. იგი გაემართა სწორედ თავისი ნათესავის, ელისაბედის, დასახმარებლად, რომელიც ფეხმძიმედ იყო იოანე ნათლისმცემელზე. ყველა ამ მონაცემზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წმიდა ანასა და წმიდა იოაკიმეს ოჯახი გამორჩეული იყო სულიერებითაც და შეკავშირებულობითაც.

ფრანგულ კანადაში, ბოპრეში, აღმართულია წმიდა ანას სახელგანთქმული სამლოცველო, რომელიც ყოველწლიურად ათასობით მომლოცველს იზიდავს. ისინი მიემართებიან იქითკენ, რათა ილოცონ და უფალთან ერთიანობა განიცადონ. ხშირად ადამიანები იქ მიდიან, რათა ყოვლისშემძლე ღმრთისაგან – წმიდა ანას მეოხებით – სასწაულის მოხდენა ითხოვონ. ისინი, ვისი ლოცვებიც შესმენილია, იქვე ტოვებენ ყავარჯნებს ან დავრდომილის ეტლს, რაც მათ უკვე აღარ სჭირდებათ, რაკი ღმერთმა წმიდა ანას შემწეობითა და შუამდგომლობით იმოქმედა და სნეულებათაგან განკურნვის სასწაული მოახდინა. წმიდა ანას დღესასწაულზე, 26 ივლისს, ასობით ათასობით ადამიანი ესწრება საგანგებოდ მისადმი მიძღვნილ წირვას. ეს დღე, ჩვეულებრივ, სანთლებიანი მსვლელობითა და სავარდის ერთობლივი ლოცვით მთავრდება.

მასალა მოამზადა **მერაბ ღაღანიძემ**

წმიდა ნინო

ქალწულო ნინო, ეშვები ჩრდილებით:
დალურსულ ფოთლებში მზის თვალი დაღვარული,
ჩვენ, დანებულნი და გულახდილები,
შენ წინ ვეფინებით უშრეტი სიყვარულით.

მცხეთას რომ მოგესმა ნელი ხმა ზეცითგან,
გული ღვთისმშობელის ჩვენთვის ხომ უხვია –
ჯვარი გამოსჭერი ვაზის ნასხლევიდან
და ცხელი ჭრილობა თმებით შეუხვიე.

ღვთიური ტკივილი და არა – წამება
იყო აქ, გვითხრობენ ამას ჩვენ მამები.
არ გვინდა, დედაო, სხვა ჯვარი ბერწების,
არ გვინდა სხვა მიწა და სხვა ნასხლევი!
ვიცით, შენი ჯვარი ლხინია ლერწამის –
ტოტებს აიყრიან მეტი გახელებით,
როცა გადასხლავენ სასტიკი სასხლავით.
ქალწულო ნინო, ათასჯერ გვენახე!
შენ გეალერდება დედული ვენახი.
ღვთიურ ანთებული ჩვენს მიწას ევნები
სხვა როგორ ვიგულვოთ აქ შენი ნაცვალი?
ზვარში რომ გაივლი, ჩაყრილი მტევნების
მზის თვალით ივსება ყოველი მარცვალი.
შორითგან გიყურებს, ავს რომ აგაშოროს,
ხმალამოღებული მზევაჟი ლაშარი.
ის არის ივერის მცველი და მზვერავი
და ჯვარს ვაზისას წაართმევს ვერავინ!

ნათელო ნინო! ვით მიწის ხნულები,
შენ წინ გადასხნილან აწ ჩვენი გულები.
მო, გადაგვიარე, ბედს გადავურჩებით
და ტერფებს დაგიკოცნით მაგარი ტუჩებით.

დაო და დედაო,
ღვთისმშობლის დობილო,
ვართ შენზე დანდობილი
და შენი შენდობით
არ გადავშენდებით!.

გრიგოლ როგაძიძე

წმიდა ნინოს

ნათლის ანგელოზს ჰგავდი,
როს წარმართთ დაგვიზავდი,
და სცხე მირონი მცხეთას,
კაცთა, საცხოვართ, ხეთა,
დედავ და ემბაზო ჩვენო,
ნინოვ, ქართლის ბნელისა მთენო,
უკვდავო სიკვდილსა შინა,
მარად გვიძღოდე წინა!

ზვიად გამსახურდია

წმიდა ნინო

სასახელოა ჩვენთვისა
დედათმთავარის დღეობა,
იმის წყალობით განმტკიცდა
ქართლში ახალი ზნეობა.
ვცანით იესო ქრისტესი
ჭეშმარიტის ღვთის ძეობა
და ქრისტეს სწავლა-მოძღვრების
სიდიდე, მძლეთამძლეობა.
ვინც ქრისტეს მცნება გვასწავლა,
ქართველთ გვწამს მისი ზნეობა.
იკურთხოს მისი სახელი,
იკურთხოს ნინოს მხნეობა.
ცამ მოანიჭოს ჩვენს ქალებს
სიდიდე ნინოს სულისა,
რომ შეძლონ ქვეყნის აღდგენა,
განკურნვა იმის წყლულისა;
ობლისა მოვლა, გამდლობა,
მოხელვა დაკარგულისა.
არ დაეკარგოს ამაგი,
ვინაც სამშობლოს უვლისა.
იკურთხოს დედათა ღვაწლი,
მადლი სწყალობდეს უფლისა.

ვაჟა-ფშაველა

„სიცოცხლის ღმერთო, გაგვიძეხ სიმართლისა და მშვიდობის გზაზე“

წელს **ქრისტიანთა ერთიანობისთვის ლოცვის კვირეული (18-25 იანვარი, 2013),** – რომლის ისტორიაც 1908 წელს დაიწყო, – მიქა წინასწარმეტყველის ტექსტს გვთავაზობს და მასზე დასაფიქრებლად გვიხმობს: „რით წარვდგე უფალთან და თაყვანივცე მაღალ ღმერთსო? სრულადდასაწველებით, წელგამოვლილი ხბორებით ხომ არ წარვდგეო? ეამება კი უფალს ათასი ვერძი, ზეთის ათიათასი მდინარეო? ხომ არ მივცე ჩემი პირმშო ჩემი დანაშაულის წილ, ნაყოფი ჩემი წიაღისა ჩემი საკუთარი ცოდვის წილ? ხომ გეუწყა შენ, ადამიანო, რა არის სიკეთე, და რას ითხოვს შენგან უფალი? მხოლოდ სამართლის ქმნას, და წყალობის სიყვარულს; მოწიწებით სიარულს უფლის წინაშე“ (6, 6-8).

მიქა წინასწარმეტყველის წიგნი აგულიანებს ხალხს, ისე იარონ ცხოვრების გზაზე, როგორც პილიგრიმებმა: „წამო, ავიდეთ უფლის მთაზე და იაკობის ღვთის ტაძარში, რომ გვასწავლოს თავისი გზები და ვიაროთ მისი ბილიკებით.“ (მიქ. 4,2). საყურდღებოა მისი მოწოდება: „ვიაროთ მომლოცველობაში, დავრჩეთ სამართლიანობასა და მშვიდობაში, სადაც ჭეშმარიტ ხსნას ვეზიარებით“. უდავო სიმართლეა, რომ მშვიდობა და სამართალი, – როგორც წინასწარმეტყველი შეგვაგონებს, – მტკიცე და ურყეე კავშირს აბამს ღმერთსა და კაცობრიობას შორის, რაზეც იგება ღირსებაზე, თანასწორობაზე, ძმობაზე და ორივე მხრიდან გრძნობების „დაცლაზე“ (kenosis) დაფუძნებული საზოგადოება. უდავოა, რომ ღვთის ჭეშმარიტი რწმენა გაუთიშავია პიროვნების სიწმინდისგან, ისევე როგორც სოციალური სამართლიანობის ძიებისგან. მიქა წინასწარმეტყველის მქადაგებლობის ჟამს, ღვთის ხალხი ჩაგვრასა და უსამართლობას განიცდიდა მათი მხრიდან, ვინც მათ ღირსებასა და უფლებებს ლახავდა. გაჭირვებულ ხალხთა ექსპლუატაცია იყო – და არის – რეალური ფაქტი: „როცა ჭამენ ჩემი ხალხის ხორცს, ტყავს ხდიან, მათ ძვლებს ამტვრევენ და აქუცმაცებენ“ (მიქ. 3,3).

წლევანდელი საკვირაო ლოცვის სახელმძღვანელო ინდოეთში მომზადდა. მის მომზადებაში მონაწილეობდა ინდოეთის სტუდენტური ქრისტიანული მოძრაობა, რომელსაც 2012 წელს დაარსებიდან ერთი საუკუნე შეუსრულდა. მასში გაერთიანებულია დაახლოებით ათი ათასი უნივერსიტეტი და სრულიად ინდოეთის კათოლიკური უნივერსიტეტების ფედერაცია; წიგნი საბოლოო ვერსიისთვის გადაეცა საერთაშორისო კომისიას, რომელიც დანიშნა ქრისტიანთა ერთიანობის განვითარების პაპის საბჭომ და ეკლესიათა ეკუმენური საბჭოს რწმენისა და კონსტიტუციის კომისიამ.

წიგნში დაგმობილია კასტური სისტემა, დალიტებისა და მარგინალთა ტანჯვა, რომელთა უმრავლესობა ქრისტიანი გახლავთ, ასევე, ქრისტიანთა და უმცირესობის სხვა წარმომადგენელთა დევნა. ეს თემები ახლოა ინდოეთის საზოგადოებისთვის, სადაც ქრისტიანები მოსახლეობის 3,5%-ს შეადგენენ და სადაც რელიგიური თავისუფლება, თუნდაც კონსტიტუციით მინიჭებული, ყოველთვის არაა დაცული. ამ კონტექსტში ეკლესია ერთობ დელიკატურ როლს ასრულებს, რომელსაც სურს დაამკვიდროს დიალოგისა და ჰარმონიის კულტურა მთელ საზოგადოებასთან, როგორც აცხადებს ვასაის ეპისკოპოსი, მონსინიორ ფელიქს მაჩადო: „მთავრობა პრივილეგიას აძლევს ყველა დალიტს, გარდა ქრისტიანებისა და მუსლიმი დალიტებისა. ეს უსამართლობად მიმაჩნია და ეკლესია არასოდეს არ უნდა იღლებოდეს პროტესტის გამოცხადებით, რამეთუ ინდოეთში არ ხდება რელიგიური თავისუფლების აზრის განვითარება“.

წიგნში მკაფიოდაა ხაზგასმული სამართლიანობის მნიშვნელობა; ქრისტიანები უნდა დაფიქრდნენ იმაზე, რომ ძმური განწყობით ეძიონ სიკეთე და თავმდაბლობითა და მორჩილებით იცხოვრონ უფლის წინაშე. მონსინიორ მაჩადო, – მიქა წინასწარმეტყველის კითხვაზე: „რას ითხოვს ღმერთი ჩვენგან?“- შემდეგ პასუხს გვირჩევს: „ეს შეზღუდული თემაა, – და არა მხოლოდ ინდოეთში, – კარგად ვამჩნევთ, გვყავს თუ არა სოციალურად დაუცველი მარგინალური ადამიანები, ღირსებააყრილნი და პოლიტიკურად და ეკონომიკურად ექსპლუატირებულნი, რომელთა კულტურული ტრადიციები უგულებელყოფილია. თუკი ჩვენს ეკლესიაში, ჩვენს საზოგადოებაში აღინიშნება იმ სახის მოქმედებები, რასაც ინდოეთში ადგილი აქვს დალიტებთან მიმართებაში, ვიტყოდი, რომ უნდა ვიაროთ სამართლის, გულმოწყალებისა და სულგრძელობის გზაზე, როგორც აღნიშნულია ტექსტში, და სოლიდარობა გამოვუცხადოთ მათ“.

არუნა გნანადასონი (Aruna Gnanadason), – ჟენევაში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს სამართლისა და მშვიდობის დეპარტამენტის კოორდინატორი, რომელმაც სტუდენტურ მოძრაობასთან ერთად მონაწილეობა მიიღო ამ სახელმძღვანელოს შექმნაში, მიღებულ გამოცდილებაზე საუბრობს: „ჩვენ ვიმუშავეთ იმ სტუდენტებისგან შემდგარ ეკუმენურ ჯგუფში, რომლებიც ქრისტიანულ მოძრაობას და ინდოეთის კათოლიკე უნივერსიტეტთა ფედერაციას ეკუთვნიან. ძალზე საინტერესო და ამაღელვებელი გამოცდილება იყო ახალგაზრდებთან მუშაობა და მათი ცხოვრების ისტორიების გაცნობა. იყო ქრისტიანი ინდოეთში, ძალზე რთული,…მაგრამ სტიმულის მომცემია და, გარკვეულწილად, თავად ქრისტეს ცხოვრებას ემსგავსება, რომელიც შერიგებისაკენ, მშვიდი თანაცხოვრებისა და გარიყულთადმი თანალმობის გამოცხადებისკენ გვიხმობს... აქვე, აკასტური სისტემა, რასიზმთან და ნაციონალიზმთან ერთად, მკაცრ გამოწვევებს გვთავაზობს ამ ხალხისა და ასევე სხვა ქვეყნების მშვიდობიანი ცხოვრებისათვის.

სხვადასხვა სახისა და სახელწოდებების მქონე კასტების წარმომადგენლები გაურბიან დიალოგსა და მონანიებას, ღია საუბარსა და მოსმენას..., ჩვენ, როგორც „სიცოცხლისა და მშვიდობის“, აღმოსავლური ჰიმნოგრაფიის მიხედვით, „იესო ქრისტე – „სიმართლის მზე“-ს მიმდევრებმა, უნდა ვიაროთ სამართლის, გულმოწყალებისა და თავმდაბლობის ბილიკებით, – ასეთია რეალობა და იმ მრავლისმეტყველი თემის აქტუალობა, რომელიც 2012 წლის პროგრამით, დინამიკურად განვითარდება ეკლესიათა ეკუმენური საბჭოს X გენერალურ ასამბლეაზე, ბუსანში, სამხრეთ კორეაში. „სიცოცხლის ღმერთო, გაგვიძეხ სიმართლისა და მშვიდობის გზაზე“, – ეს გახლავთ ასამბლეის დევიზი და იგი ძლიერ მოწოდებად გახმიანდება ყველა ერის საყურადღებოდ, რათა იარონ ერთად და ჯგუფურად სამართლის ბილიკებით, რომელიც მათ სიცოცხლემდე და ხსნამდე მიიყვანს“.

წელს ეკუმენური ლოცვა აღინიშნება თბილისში, 25 იანვარს ევანგელურ-ბაპტისტურ ეკლესიაში. ყველა კათოლიკე მორწმუნე ვალდებულია, ცალკე თუ მრევლთან ერთად, ილოცოს ამ ზრახვებით და მაგალითად დაისახოს ის, რაც იესომ წარმოთქვა უკანასკნელ სერობაზე, ვიდრე ვნებამდე: „რათა ყველა ერთი იყოს, როგორც შენ ჩემში, მამაო, მე კი – შენში (იოან.17.21).

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

ეკლესია და სატაძრო პოლიტიკა

საქართველოში საკულტო ნაგებობებთან დაკავშირებული დავები, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ კარგავს თავის აქტუალობასა თუ სიმძაფრეს. დღემდე გადაუწყვეტელია რამდენიმე ქრისტიანული (მაგ., კათოლიკური და სომხური) ეკლესიის კუთვნილი ტაძრების ბედი, უფრო ზუსტად, მათი კანონიერი მფლობელებისთვის დაბრუნების საკითხი. ფორმალურად არაერთხელ შექმნილა სპეციალური კომისიები სადავო რელიგიური დანიშნულების ნაგებობების ისტორიული წარმოშობის გასარკვევად, თუმცა რაიმე ხელშესახები შედეგები მათ მუშაობას ჯერ არ მოჰყოლია.

ამ საკითხთან დაკავშირებით გვსურს თვალი გადავავლოთ დასავლურ ქრისტიანულ სამყაროში არსებულ მდგომარეობას და რამდენადაც ეს ჩვენთვის ხელმისაწვდომია, წარმოვადგინოთ ქრისტიანულ ეკლესიებს შორის ურთიერთობებში არსებული ფაქტები და განწყობები ამ მიმართულებით.

პირველ რიგში, გადავხედოთ სწორედ კათოლიკური სამყაროში არსებულ ვითარებას. კერძოდ, რომის კათოლიკური ეკლესიის დამოკიდებულებას მართლმადიდებელი (მათ შორის ქართული) სამრევლოებისა და ეპარქიებისადმი.

დასავლეთ საქართველოს ლათინური წესის კათოლიკეთა წინამძღვრის, მამა გაბრიელე ბრაგანტინის თქმით, კათოლიკური ეკლესიის მხრიდან სხვა ქრისტიანული ეკლესიებისადმი ტაძრების გადაცემის მრავალი ფაქტი არსებობს: „უსასყიდლოდ გადაეცათ ტაძრები ასევე ბულგარეთის საპატრიარქოს ქალაქ რომში და რუმინეთის საპატრიარქოსა და მოლდავეთის ეკლესიას ქალაქ ვერონაში. გარდა ამისა, იტალიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში ბევრი მართლმადიდებელი სასულიერო პირი ატარებს ღვთისმსახურებას კათოლიკურ ტაძრებში და შემდეგ იგივე საკურთხეველზე კათოლიკე ღვთისმსახურები სწირავენ და არავის ეჩვენება ეს უცნაურად ან მიუღებლად“.

კონკრეტული ფაქტები:

2006 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქის, ბართოლომეოს I-ის ფლორენციაში ვიზიტის შედეგად, ნიკოლაოს პაპანდოპულოსის წინამძღვრობით, კათოლიკებმა ბერძენ მართლმადიდებელებს წმ. იაკობის ეკლესია უსასყიდლოდ გადასცეს.

2010 წლის ნოემბერში, ქართული საკრებულოს წარმომადგენლებმაც ითხოვეს საკულტო ნაგებობის გამოყოფა, მილტონის ხეივანში მყოფი რუსებისაგან დამოუკიდებლად. თავდაპირველად, მათ დროებით გადაეცათ ორი ადგილობრივი შენობა, ერთი ქალაქ ემპოლში და ერთიც ქალაქ ფლორენციაში, სტუდიოს ქუჩაზე, სადაც წირვას რომიდან ჩამოსული ქართველი მღვდელი უძღვებოდა. 2011 წლის იანვარში კი, კავკასიის ამ ქვეყნიდან ჩამოსული მამა ანდრიას წყალობით, მათ გადაეცათ ქ. ფლორენციის გულში მდებარე წმ. ელისაბედის სახელობის შუასაუკუნეობრივი ეკლესია. ასევე ფლორენციის ეპარქიამ შეუზღუდავი დროით და უანგაროდ გადასცა ემიგრანტების ახალ ქრისტიანულ საკრებულოებს წმიდა გიორგის, წმიდა ელისაბედის, წმიდა იაკობისა და წმიდა ბართოლომეოს ოთხი კათოლიკური ეკლესია (იხ. ჟურნ. „საბა“, №6, 2011).

2011 წლის 29 მაისს ქართულ მართლმადიდებლურ სათვისტომოს ფლორენციაში, სერალის ქუჩაზე მდებარე უძველესი ტაძარი გადასცეს, რომლის ხელმეორე კურთხევაც მიტროპოლიტმა აბრაამ გარმელიამ აღასრულა. რომაული წესით აგებული ეს ტაძარი წმინდა ელისაბედის სახელობისა იყო. ამ დღიდან კი ის წმინდა ნინოს სახელობისაა, რომელშიც ქართულ ენაზე აღესრულება ღვთისმსახურება. პირველივე საზეიმო წირვას ესწრებოდა ფლორენციის საკათედრო ტაძრის დიაკონი, მამა ალესანდრო ბიკი, კურსიის ეკუმენური კომისიის წევრი და ქართულ საკრებულოსთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი. ქართველებისთვის ნაჩუქარ ხსენებულ ტაძარში მამა ანდრია ლაცაბიძე მსახურობს (ჟურნ. „საბა“ №7, 2011; ინფორმაცია იტალიურიდან თარგმნა ბესიკ ანდრიაძემ).

ცნობილია, მაგალითად, რომში, კასიოს ქუჩის მე-16 კილომეტრზე, ეგნატე ლოიოლას სახელობის ტაძარში ყოველ სამშაბათს მართლმადიდებლურ სამრევლოს კათოლიკური ეკლესია საშუალებას აძლევს აღასრულოს საკუთარი ღვთისმსახურება. ასევე რომში, ჩეზანოს ქუჩაზე, წმინდა სებასტიანეს სახელობის კათოლიკურ ტაძარში ოთხშაბათობით მართლმადიდებლური სამრევლო იკრიბება.

ქალაქ ბოლონიაში კი მართლმადიდებელ მრევლს ექსკლუზიური სარგებლობის უფლებით დაეთმო შემდეგი ეკლესიები: 1) სანტა მარია ინკორონატა კაპრარაში, დეი გრიფონის ქუჩაზე ტაძარი კონსტანტინოპოლის ეკუმენური საპატრიარქოს ბერძენ მართლმადიდებლებს; 2) პრატელოს ქუჩაზე სან როკოს ეკლესია რუმინელ მართლმადიდებლებს; 3) ასევე პორეტა თერმეში მდებარე ალბერგატის კოლეჯის ეკლესია – რუმინელ მართლმადიდებლებს.

გარდა ამისა, არსებობს დროებითი და კათოლიკეებთან ერთობლივი სარგებლობის შესაძლებლობა შემდეგ ეკლესიებში, სადაც მართლმადიდებლური ღვთისმსახურება ტარდება. ესენია: 1) სავენას სან ლაძაროს მრევლის სან მარკოს ორატორია – კვირაობით ალექსანდრიის საპატრიარქოს კოპტი მართლმადიდებლების მსახურება; 2) კაზალეკიო დი რენოში სან მარტინოს მრევლის დარბაზი რუმინელი მართლმადიდებლებისთვის; 3) ოპერა პადრე მარელა მრევლის სან ჯუზეპეს ეკლესია, შრომის ქუჩაზე (ვია დი ლავორო): კვირა დილას მოლდოველი მართლმადიდებლებისთვის.

ბოლონიის ყოფილ კათოლიკურ ეკლესიაში კი, წმ. ესაიას ქუჩაზე განთავსდა წმ. ბასილის სახელობის მოსკოვის საპატრიარქოს მართლმადიდებლური ეკლესია.

პალო ლაციალეში, ლადისპოლიში, პალოს მრევლის ეკლესიის მახლობლად მართლმადიდებელ მრევლს უსასყიდლოდ გადაეცა მოზრდილი ფართი, რომელსაც იყენებენ ღვთისმსახურების ჩასატარებლად და მისი სარგებლობის ექსკლუზიური უფლება აქვთ.

როგორც ვხედავთ, რომის კათოლიკური ეკლესიის დამოკიდებულება სხვა ქრისტიანული ეკლესიებისადმი (ქართული მართლმადიდებლური სამრევლოების ჩათვლით), მათთვის ტაძრების დაბრუნების, დროებითი გაზიარების თუ უსასყიდლოდ გადაცემის თვალსაზრისით ძმური ქრისტიანული სიყვარულით არის აღბეჭდილი. ასეთ ფონზე კი, საქართველოში ბათუმის, ქუთაისისა და გორის აშკარად კათოლიკური ტაძრები ჯერ კიდევ არ არის დაბრუნებული მისი კანონიერი მესაკუთრისთვის.

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, საქართველოში არსებობს პრეცედენტები, როდესაც კათოლიკური ეკლესიის დაფინანსებით შენდება მართლმადიდებლური ტაძარი მართლმადიდებელი მრევლისთვის: მაგ., რომის პაპმა იოანე-პავლე II-მ საქართველოში მოქმედი კათოლიკური საქველმოქმედო ფონდის „საქართველოს კარიტასის“ თბილისის საბავშვო კომპლექსს „თანხა შემოსწირა მართლმადიდებელი ეკლესიის ასაგებად, რათა მოზარდები საკუთარ რელიგიურ ტრადიციაზე აღიზარდონ“ (ჟურნ. „საბა“ №8, 2006, გვ. 5). დღეს ბაზილიკური ტიპის ტაძრის ხილვა ყველას შეუძლია ამ დაწესებულების წინ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში ანტიკათოლიკური აგრესიის გამოხატვას საკმაოდ მძიმე ფორმებიც ჰქონია, რომლებიც დროის გარკვეულ მომენტებში საკმაოდ უარყოფით გავლენას ახდენდა როგორც ზოგადად ამ ორი ეკლესიის ურთიერთობაზე, ისე კონკრეტულად ტაძრების უკვე დაგეგმილი გადაცემის თვალსაზრისით. მაგ., 2003 წელს ვატიკანი მზად იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დასავლეთ ევროპის ეპარქიისთვის გადაეცა ტაძარი ევროპის ერთ-ერთ დედაქალაქში. მაგრამ ეს პროცესი შეჩერდა ამავე წლის სექტემბერში წმ. საყდარსა და საქართველოს სახელმწიფოს შორის მომზადებული ხელშეკრულების წინააღმდეგ თბილისის ქუჩებში სმე-ს ზოგიერთი იერარქის მიერ ორგანიზებით მოწყობილი ანტიკათოლიკური გამოსვლების მიზეზით.

სხვა ქრისტიანული ეკლესიებისთვის ტაძრების გადაცემის ფაქტები ანგლიკანურ სამყაროშიც უხვად არსებობს. ოქსფორდის უნივერსიტეტის დოქტორანტის, არქიეპისკოპოს მალხაზ სონღულაშვილის თქმით, „მაგ., ქალაქ ნორვიჩსა და კემბრიჯში მართლმადიდებლური ტაძრები ყოფილ ანგლიკანურ ტაძრებში ფუნქციონირებს. მისივე მითითებით, არსებობს ორმაგი საკურთხევლების პრაქტიკაც. მაგ., ქალაქ ლონდონში, St Dunsten-ის ეკლესიაში ერთდროულად ორი საკურთხეველი არსებობს – ერთზე ანგლიკანები ატარებენ წირვას, მეორეზე რუმინელი მართლმადიდებლები“.

ანგლიკანურ სამყაროში (ანუ არა მხოლოდ ინგლისის ეკლესიაში) არაანგლიკანური ქრისტიანული ეკლესიებისთვის ტაძრების დროებითი დათმობის, უსასყიდლოდ გადაცემასა თუ ზიარი გამოყენების საკითხთან დაკავშირებით არავითარი სირთულე და დაბრკოლება არ არსებობს, როგორც თეოლოგიური, ისე საეკლესიო ხელისუფლებისა თუ კონკრეტული იერარქების მხრიდან კეთილი ნების გამოვლენის თვალსაზრისით. ამგვარი დამოკიდებულება ლოგიკური გამოვლინებაა იმ ქრისტიანული სიყვარულისა და, გნებავთ, ეკუმენური სულისკვეთებისა, რომელიც დასავლეთის ქრისტიანულ სამყაროში არსებობს. ერთადერთი, რამაც ბრიტანეთში ცხარე დისკუსია გამოიწვია, იყო საკითხი იმის შესახებ, დაეთმოთ თუ არა ანგლიკანური ტაძარი მუსლიმებისთვის.

შეიძლებოდა გაგვეგრძელებინა ფაქტების ჩამონათვალი: მაგ., ლონდონის ანგლიკანურმა დიოცეზმა All Saints Ennismore Gardens-ის ტაძარი სუროჟის რუსულ დიოცეზს გადასცა, ხოლო წმინდა მარკოზის სახელობის ტაძარი ლონდონის სერბულ მართლმადიდებლურ სამრევლოს. გარდა ამისა, ხშირად მართლმადიდებლური საკრებულოები იყენებენ ანგლიკანურ ტაძრებს, რომელთაგან ზოგიერთი ნაყიდი აქვთ, ზოგიც ნაჩუქარი ინგლისის ეკლესიისგან.

ბრიტანეთში არსებობს სამართლებრივი აქტებიც ამ საკითხზე. მაგ., 1969 წლის საპარლამენტო აქტით Sharing of Church Buildings Act და 1970 წლის დოკუმენტით Sharing of Church Buildings Measure (ეს უკანასკნელი ინგლისის ეკლესიის სინოდის განჩინებაა, რომელსაც იგივე ძალა აქვს, რაც საპარლამენტო გადაწყვეტილებას) დადგენილია, რომ ღვთისმსახურებისთვის განკუთვნილი შენობების გაზიარება ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე უნდა მოხდეს იმ ქრისტიანული ეკლესიებისთვის, რომლებიც აღიარებენ წმინდა სამებას!

ვფიქრობთ, ზემოთწარმოდგენილი ფაქტები, რომელიც ზღვაში წვეთს წარმოადგენს, სრულიად საკმარისია იმის გაცნობიერებისთვის, რომ თანამედროვე ცივილიზებულ ეკლესიას არ შეშვენის ქრისტიანთა შორის დაძაბულობის და, მით უმეტეს, დაპირისპირების შექმნა აღნიშნულ საკითხზე. ტაძრების, – ამ წარმავალი მატერიალური ნაგებობების, – დატყვევებისა და კანონიერი მეპატრონისთვის არ დაბრუნების გაჯიუტებული სურვილი უკადრისია რელიგიური იდეალების მქონე სუბიექტისთვის მაშინ, როცა ტაძრის ისტორიული წარსულიც და მისი თანამედროვე სახე (არქიტექტურული ნიშნები, ინტერიერ-ექსტერიერი და სხვა) აშკარად სხვა კონფესიისადმი კუთვნილებაზე მეტყველებს.

წინამდებარე წერილი მსურს დავასრულო ცნობილი მართლმადიდებელი თეოლოგის, დეკანოზ იოანე მეიენდორფის ბრწყინვალე სიტყვებით, რომელიც, როგორც ჩანს, აღმოთქმულია, იგივე ვითარებით შეწუხებული მეცნიერის ღრმად ქრისტიანული შეგნებიდან: „...ამჟამად მიმდინარე, ხშირად ძალიან უხეში, ბრძოლა თითოეული ტაძრის ან მიწის ნაგლეჯის გამო, რომელიც ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებს ქრისტიანებს, ჭეშმარიტად დემონურია და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამით ქრისტიანული რწმენა თავს ირცხვენს ურწმუნოთა წინაშე, არამედ ასევე იმიტომ, რომ ამას არ გააჩნია არავითარი სულიერი და საღვთისმეტყველო შინაარსი“ (И. Мейендорф. Рим, Константинополь, Москва. М., 2005, გვ. 8)

მოამზადა დავით თინიკაშვილმა

(სტილი დაცულია)

სტატია თავდაპირველად გამოქვეყნდა სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ვებ-გვერდზე: http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619861&kat=314

შობის მოახლოება, ანუ ძველი და ახალი სტილის კალენდრის შესახებ



ხალხთა ყოფა-ცხოვრებაში უხსოვარი დროიდან გაჩნდა კალენდრები, რომელთა რიტმშიც აისახებოდა და ერთიანდებოდა გარე კოსმოსი და ადამიანის შინაგანი სამყარო. სწორედ ამ ერთიანობით მყარდებოდა წესრიგი ადამიანის ყოველდღიურ, პრაქტიკულ ცხოვრებაში.

1-ლი იანვარი წლის დასაწყისად ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ–მდე პირველ საუკუნეში იქნა მიჩნეული, როდესაც რომის მმართველმა იულიუს კეისარმა გაითვალისწინა ალექსანდრიელი ასტრონომის სოზიგენეს რჩევა, რომლის მიხედვითაც წელიწადში 365 დღე-ღამე იგულისხმეს და 12 თვედ დაყვეს.

კალენდარმა იულიუსის სახელი მიიღო და ყველაზე სრულყოფილად მიიჩნეოდა მანამდე არსებულ კალენდრებს შორის. მაგრამ მოგვიანებით მცირე უზუსტობა მაინც აღმოჩნდა: მზისიერი წელიწადი იულიუსის კალენდრის საშუალო წელიწადზე 11 წუთით და 14 წამით მოკლეა. წლების განმავლობაში ეს წუთები და წამები დღე-ღამეს უტოლდებოდა და დროის უზუსტობას იწვევდა, კალენდართან შეუსაბამობაში მოდიოდა. XVI საუკუნის ბოლოს კალენდრის ცდომილება იმდენად გაიზარდა, რომ ზაფხულის ბუნიაობა 21 მარტის ნაცვლად 11 მარტს ხვდებოდა.

იმ კალენდრის მიღება, რომელსაც ჩვენ ახალ სტილს ვუწოდებთ, მოხდა 1582 წელს, რომის პაპის გრიგორი XIII-ის მიერ, ე.წ. რენესანსის ანუ აღორძინების იდეოლოგიის გავლენით. რეფორმამ უდიდესი წინააღმდეგობა გამოიწვია როგორც მეცნიერებაში, ასევე მოსახლეობაში და დიდი დავისა და განხილვის საგნად იქცა.

რომის პაპის, გრიგორი XIII-ის სპეციალური ბრძანებით, 4 ოქტომბრის (ხუთშაბათი) მომდევნო დღედ 15 ოქტომბერი (პარასკევი) გამოცხადდა. დღეები 5-დან 14-მდე გაუქმდა. რეფორმამ შეცვალა ისტორიული ქრონოლოგია, გაძნელდა ახალი სტილით ისტორიული მოვლენების დათარიღება. ამიტომ მეცნიერები ამ გამოთვლებს კვლავ იულიუსის კალენდრით აწარმოებდნენ.

ახალ კალენდარს ეწოდა გრიგორის (გრიგორიუსის კალენდარი) სახელი, ანუ წელთაღრიცხვა ახალი სტილით, იულიუსის კალენდარს კი უკვე ძველ სტილს ეძახიან.

კალენდრის შესაძლო ცვლილების საკითხს განიხილავდნენ რუსეთში, ნიკოლოზ I–ის საფემო კარზე, თუმცა ოფიციალურად გადაწყვეტილება რევოლუციის შემდეგ იქნა მიღებული.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, საკანონმდებლო ორგანოებში დაისვა კალენდრის საკითხი. 1918 წლის 14 აპრილს კათოლიკოს პატრიარქმა ამეირკავკასიის სეიმიდან მიიღო წერილი დროის ახალი კალენდრით აღრიცხვის ბრძანების შესახებ. აპრილის 18 ცნობილი უნდა ყოფილიყო მაისის 5 რიცხვად (ძველი სტილით აპრილის 22). ამის მიხედვით მოძრავი დღესასწაულები მოვიდოდნენ შესაბამისობაში და წაიწევდნენ წინ 13 დღით. ამრიგად, 1918 წლის 18 აპრილიდან სამოქალაქო ცხოვრებაში შემოღებულ იქნა ახალი კალენდარი, ხოლო საეკლესიოში კი დარჩა ძველი.

დღესდღეობით სამოციქულო ეკლესია, როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში, იყენებს ორ კალენდარს: საეკლესიოს (იულიუსის, ძველი სტილი) და სამოქალაქოს (გრიგორიუსის, ახალი სტილი).

ბუნებრივია, დავა კალენდრისა და რიცხვების გადანაწილების თაობაზე ამით არ დასრულებულა და დღემდე გრძელდება. ჩნდება კითხვები, რატომ არ შეიძლება, საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ქრისტეშობა 25 დეკემბერს იზეიმოს? რადგან საზოგადოებას გვიხდება ორივე, სამოქალაქო და საეკლესიო კალენდრით დადგენილი დღესასწაულების აღნიშვნა, ახალ წელს აღვნიშნავთ, როგორც 1-ლ, ასევე 14 იანვარს. რატომ არის შეუძლებელი ეკლესიის მიერ გრიგორის კალენდრის გამოყენება? ამ თემაზე, ბუნებრივია, არსებობს უამრავი მოსაზრება, დავა საეკლესიო პირებს შორის.

პროფესორი ბოლოტოვი დიდად აფასებდა იულიუსის კალენდრის სიმარტივეს, მის მეცნიერულ ღირებულებას და გაუქმებას არასასურველად მიიჩნევდა: „მე კვლავაც ვრჩები იულიუსის კალენდრის პატივისმცემლად, მისი სიმარტივე წარმოადგენს მის მეცნიერულ უპირატესობას ყველა შესწორებულ კალენდართან შედარებით. ვფიქრობ, რომ რუსეთის კულტურის მისია ამ საკითხში იმაში მდგომარეობს, რომ კიდევ რამდენიმე ასწლეული შეინარჩუნოს იულიუსის კალენდარი“.

საქართველოს ეკლესიის IV კრებაზე, 1927 წლის 24 ივნისს გამოიტანეს დადგენილება – საქართველოს ეკლესიაში ახალი სტილის შემოღების შესახებ. დადგენილების თანახმად, კალენდარი შემოღებულ იქნა 1927 წლის 27(14) ნოემბრიდან, რის შემდეგაც წმინდანებს მოიხსენიებდნენ ახალი სტილის კალენდრით, სწორედ იმ რიცხვებში, როგორც ნაჩვენები იყო საეკლესიო წიგნებში...

ახლოვდება 25 დეკემბერი, სრულიად ევროპისა და კათოლიკური სამყაროსთვის უდიდესი დღესასწაული, რაც, გარდა რელიგიური მნიშვნელობისა, დიდ წინასაახალწლო მზადებას, ერთმანეთისათვის სიხარულის მინიჭებას, ზრუნვას, ოჯახური მყუდროებისა და სამოქალაქო ცხოვრების გახალისებას მოიაზრებს.

თეა თალაკვაძე

მორწმუნე ქრისტიანების ბედი თეირანში

მიუხედავად იმისა, რომ კანონით არიან აღიარებულნი, ყოველთვის, როდესაც სამოქალაქო უფლებების დაცვაზე მიდგება საქმე, ისინი ბიუროკრატიულ სახელმწიფო და კერძო სექტორებში, სკოლებსა და სასამართლოებში გამეფებული დისკრიმინაციის მსხვერპლნი ხდებიან. ქრისტიანთა ცხოვრება ირანში იოლი არაა. „ცხადია, მოქალაქეები ვართ, მაგრამ მეორეხარისხოვანი, მეორე კატეგორიის“, – ასეთ განცხადებას აკეთებს ქრისტიანთა მცირე ჯგუფი, მაგრამ საკუთარი ვინაობის გამჟღავნება არავის სურს. მით უფრო, რომ ქრისტიანული ტაძრები ამ ქვეყანაში კატაკომბებივითაა. კათოლიკური ეკლესია თეირანში, საელჩოსთან ახლოს, 1936 წელს სალეზიელების მიერ დაარსებული, სულ ახლახანს განახლდა, მაგრამ არც სამრეკლო და არც ჯვარი არაა თვალისთვის ადვილად შესამჩნევი. სომხური ეკლესიები ისპაჰანში, ჯულფას რაიონში, რომელიც ჯერ კიდევ შაჰ-აბას პირველის დროს, 1604 წელს აიგო, ქრისტიანული ეპოქის მონუმენტური საკულტო ნაგებობებია, პოპულარული ყველა აღმსარებლობის ტურისტთა შორის და შეუძლია იამაყოს თავისი საკმაოდ მდიდარი ტრადიციების მქონე მუზეუმებით, რაშთის პროტესტანტულ ეკლესიაზე მეტადაც კი, რომელიც ყველაზე უფრო მეტადაა „მიზანში ამოღებული“, პასტორთა და მორწმუნეთა ბოლოდროინდელ დაპატიმრებათა გამო, და კარიბჭის თეთრ ფონზე ამოტვიფრული, აშკარად თვალშისაცემი ორი ჯვრით.

ირანის მუსულმანურ რესპუბლიკაში, ერთი მხრივ, დაცულია წესები და კანონები, მეორე მხრივ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამეფებულია სოციალური შიზოფრენია, რომლის ფონზეც ქრისტიანულ საკრებულოს, განსაკუთრებით ქვეყნის ჩრდილოეთით, სადაც უკანასკნელ ხანებში მრავალი ისლამის მიმდევარი მოექცა ქრისტიანად, შენიღბულად უწევს ცხოვრება. დაუშვებელია ქრისტიანებისთვის ხელის გამართვა; შიშობენ, რომ მათ გვერდით არის შპიონი, დამსმენი, თუნდაც ეს მეზობელი, ან ახლობელი იყოს. ქვეყნის ჩრდილოეთით, ქალაქში მდებარე სომხური ეკლესიის ტელეფონი ისმინება. ყველამ იცის, რომ ყოველი ზარი ფიქსირდება, ნებისმიერს, ვინც იქ დარეკავს, შეიძლება დევნაც დაუწყონ. თუკი რომელიმე უცხოს ხელში ჩაუვარდება ტელეფონის ნომერი და შეეცდება, მეტი შეიტყოს ქრისტიანებზე და გაეცნოს მათ, არცთუ იშვიათად მას აჩერებენ და არაორაზროვნად ეკითხებიან, რატომ იმყოფება იქ, ან ხომ არ უნდა მათთან ერთად ჩაი დალიოს. მოკლედ, სიფრთხილე მართებთ ყველა შემხვედრთან.

ისპაჰანში, ვანკის საკათედრო ტაძარი, რომელიც 1606-1655 წლებში აიგო საფავიდების (safavide) დინასტიის მხარდაჭერით, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ირანში ქრისტიანად ყოფნა მიღებული ფაქტია და ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს დიდებულება ხედისა და ტურისტების უწყვეტი ნაკადი, განსაკუთრებით ტაძრის შიგნით. მაგრამ საკითხავია, ვის აბარია ამ და სხვა დანარჩენი ორი ეკლესიის (ბეთლემისა და ღვთისმშობლის ეკლესიების) გასაღები, რომ კვირადღეს მღვდელმსახურებს საშუალება ჰქონდეთ თავიანთ საკულტო ადგილზე მსახურების აღსრულებისა? კითხვაზე, ვხვდებით თუ არა ყოველდღიურ ცხოვრებაში დისკრიმინაციას, პასუხი, უმეტეს შემთხვევაში, კერძო სახლში მიწვევაა, განმარტოებით, ცნობისმოყვარეთა მზერიდან მოშორებით.

გამოცდილება აჩვენებს, რომ რეალურ ცხოვრებასა და იურიდიულ პრაქტიკას შორის დიდი უფსკრულია: მაგალითად, საავტომობილო ავარიის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების შემთხვევაში; შეუძლებელია უნივერსიტეტებში, ან შეზღუდული რაოდენობის სკოლებში მოხვედრა. ე.წ. dhimmi – დიმები (ე.ი. არამუსლიმი მოქალაქეები) უფრო და უფრო მეტად ზარალდებიან: თუმც მათ, არსებითად, ისეთივე უფლებები აქვთ, როგორიც შიიტებს. „სამოცდაათ მილიონ ირანელთა შორის, – აცხადებს მღვდელმსახური, რომელსაც სურს ანონიმად დარჩეს, –კათოლიკე ქრისტიანები მთელი მოსახლეობის 0,35%-ს შეადგენენ.

ბოლო ათწლეულში ქრისტიანი მოსახლეობა მესამედით შემცირდა. მრავალი ითხოვს ავსტრიის ვიზას, რომ საბოლოოდ აშშ-ში გადავიდეს. „მაგრამ ჩვენ პარადოქსულ სამყაროში ვცხოვრობთ, მიუხედავად იმისა, რომ უმცირესობას უფლება აქვს Maijlis-ში, – ისლამურ საკონსულტაციო ასამბლეაში, – ჰყავდეს ერთი წარმომადგენელი; და თუმც კანონის მიხედვით ყველა ირანელი თანასწორია, განურჩევლად ეთნიკური ჯგუფისა, კანის ფერისა და ენისა, და მიუხედავად იმისა, რომ უმცირესობას წარმოადგენენ, ისლამური პრინციპებიდან გამომდინარე, თუ ისინი ამ ტერიტორიაზე ცხოვრობენ, მათ უფლება აქვთ, თავი დაიცვან, მაგრამ სინამდვილეში ასე არ ხდება“. ფაქტობრივად, ისლამური რესპუბლიკა იძლევა კულტის თავისუფლებას, მაგრამ არა რელიგიისა.

რაშთში (Rasht) რელიგია ტაბუირებულია, ეყრდნობა რა იმ ფაქტს, რომ უკანასკნელ წლებში მრავალმა მუსულმანმა მიიღო ქრისტიანობა და შეუერთდა მზრდად რელიგიურ მოძრაობას (Hauskirche, ანუ საშინაო ეკლესია), რომელიც უფრო ძლიერი გახდა, ვიდრე კათოლიკე ეკლესია. ამ კუთხით, გაძლიერდა პოლიციის კონტროლი, იმატა დაშინებებმა, დაჭერებმა: მუსულმანი, რომელიც ქრისტიანობას მიიღებს, იცის, რომ დანაშაულს ჩადის, რადგან რწმენას ღალატობს, ასეთი დამნაშავე კი სიკვდილით ისჯება.

ამავე მიზეზით მორწმუნე მუსულმანი არ შედის ეკლესიაში, სადაც სრულდება რიტუალი, რადგანაც ეშინია, ხელისუფლების კონტროლის შემთხვევაში, მოღალატეთა რიგში არ ჩააყენონ. გარდა ამისა, 2011 წლის Human Rights Watch-ის ანგარიში, რაც ქრისტიანულმა საინფორმაციო სააგენტომ – (Mohabat) ახალი ამბები – გამოაქვეყნა, ქრისტიანთა რიცხვის ზრდას აჩვენებს. მთავრობის ზეწოლა უმცირესობაზე ერთი წლის მანძილზე კიდევ უფრო გაიზარდა: აღინიშნა 274 ძალადობის ფაქტი, მსხვერპლთა რიცხვი რვაას სამოცდათექვსმეტი ადამიანია. ბაჰაისტები პირველ ადგილზე არიან 100 შემთხვევით, დერვიშები – მეორეზე, 46 ეპიზოდით, ქრისტიანები – მესამეზე, 29-ით. მთლიანად აღირიცხება სიკვდილით დასჯის 498 შემთხვევა. 8 სექტემბერს, პასტორ იუსუფ ნადარკანს, რომელიც 2009 წლის ოქტომბერში დაიჭირეს რაშთში, საბოლოოდ გამოუტანეს სიკვდილით დასჯის განაჩენი რწმენის ღალატის გამო; ამით მსხვერპლთა რიცხვი კიდევ ერთით გაიზარდა. მისი დანაშაული იმაში მდგომარეობდა, რომ მისი მრწამსი შიიზმის მამის, იმამი ალის მრწამსისგან სრულიად განსხვავებული იყო.

ირენე პაჩი
Libero (www.avverine.it)

ივანე გვარამაძის ღღე ქუთაისში

დიდ ქართველ მამულიშვილს, მესხეთის უდიდეს ჭირისუფალს ივანე გვარამაძეს გარდაცვალებიდან 100 წელი შეუსრულდა, რაც უყურადღებოდ არ დაუტოვებია მადლიერ შთამომავალს. ჟურნალმა „საბა“-მ სპეციალური საიუბილეო ნომერიც კი გამოსცა ამ დღესთან დაკავშირებით.

ქუთაისელ კათოლიკეებს, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ლექტორებთან ერთად, სურვილი გაუჩნდათ, საგანგებოდ აღენიშნათ ეს მრგვალი თარიღი.

ამ დღისთვის საუკეთესო ადგილი, ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკა აირჩიეს. სამკითხველო დარბაზი დაინტერესებული ადამიანებით შეივსო, რომლებსაც უდიდესი სურვილი ჰქონდათ, კიდევ ერთხელ გაეხსენებინათ ეს დიდი ადამიანი, პატივი მიეგოთ და ქედი მოეხარათ მისთვის. დიახ, მხოლოდ დიდი ადამიანი შეიძლება ეწოდოს ისეთ პიროვნებას, რომელიც ერთდროულად იყო მოძღვარი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, მწერალი, პედაგოგი, მხატვარი, დიდაქტიკოსი და მკვლევარი; ადამიანი, ვისი კერძო სამუზეუმო ექსპონატებიც, განსაკუთრებით ხელნაწერები, ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის ძირითად ნაწილს წარმოადგენს. ვისი დაუღალავი მოღვაწეობა მიმართული იყო ქართული ენის გადარჩენა-დამკვიდრებისთვის. იგი ასევე დიდ პატივს სცემდა სხვა ენებსაც, განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ძველი და ახალი სომხური ენისა და ქართულ-სომხური ურთიერთობების შესახებ არსებული დოკუმენტების მოძიების საქმეში.

ივანე გვარამაძის ორი წიგნი, „ქართლის ცხოვრება სასწავლებელში მყოფ მოწაფეთა და ყოველ ქართველთა საკითხავად“ და „ქართული ენის საუნჯე“, ფასდაუდებელი განძია ქართულ წიგნიერებაში.

მომხსენებლებმა ამ და ბევრ სხვა გარემოებაზე გაამახვილეს მსმენელთა ყურადღება. ბატონების: ავთანდილ ნიკოლეიშვილის, ომარ გვეტაძის, სულხან კუპრაშვილისა და მერაბ კეზევაძის გამოსვლებში იგრძნობოდა უდიდესი პასუხისმგებლობა და თემისადმი განსაკუთრებული შემოქმედებითი დამოკიდებულება.

პარალელურ ჭრილში დანახული ქუთაისი და კათოლიკური საკრებულო, მარიამის უბიწოდ ჩასახვის ეკლესიაზე საუბარი უფრო ავსებდა და საინტერესოს ხდიდა კონფერენციას.

დისკუსიაც გაიმართა, საერთო პასუხებზეც შეჯერდნენ.

ყველა მონაწილემ გზა მისცა ცოდნასა და მოზღვავებულ ემოციას. მსმენელიც „სასიამოვნოდ დაიღალა“ მიღებული ინფორმაციით.

გასულ წელს – მიხეილ თამარაშვილი, წელს – ივანე გვარამაძე, მომავალი წლები კიდევ ბევრ სახელს შეახსენებს ჩვენს საზოგადოებას.

ნინო ჟღენტი

სარჩევი

ეპისკოპოსის საშობაო მიმართვა.....2
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში 4
კათოლიკე ეკლესია საქართველოში 6
საკრებულოს სატკივარი 10
სულიერება 11
კათოლიკური პასუხი 12
თვის წმიდანი 13
ეკუმენური გვერდი 14
ეკლესია და სატაძრო პოლიტიკა ...15
ინფორმაცია 17
საგანგებო ჩანართი .....I-IV

განუსვენე მათ, უფალო!



ვალერიან ჩიტაშვილი
* 03.01.1928 – ქ. ვალე
† 02.12.2012 – ქ. ვალე

სტეფანე ხითარიშვილი
* 14.11.1948 – ქ. ვალე
† 01.12.2012 – ქ. ვალე

რედაქცია:
მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:
თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 298-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ

© „საბა“, 2013

ოცდახუთსა დეკემბერსა,
ქრისტე იშვა
ბეთლემსაო...